წელიწადი მეორე — ფასი 5 კაპ. — პარასკევი, 25 მარტი 1916 წ. — № 68

საქართველო

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველოს“ რედაქციასა და კანტორაში ყოველდღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакція „Сакартвело“, поч. ящикъ № 76

განცხადების ფასი

ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე 20 კაპიკი, ბოლოს 15 კ., უკანასკნელზე—10 კ., **კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი:** სტრიქონი პეტიტი 1 გვ. ეღირება 40 კ. 4-ზე 20 კ., ტექსტში—60 კ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მან., 4 საათის შემდეგ (მიიღება მხოლ. გაბაშვილის შესახვევში, ა. კალანდაძის სტამბაში ეღირება 4 მ.

დამატებიანი № ღირს ყველგან 7 კაპ.

საარტისტო საზოგადოების დარგაზი

კვირას, 27 მარტს, გაიმართება პირველად თბილისში

დიდი საჯარო ქართული სიტყვა-მუსიკოგა კ. ფოცხვერაშვილისა

სიტყვის თემა: „ქართული ხალხური სიმღერა-გალობა და მისი ჰარმონია—კონტრაპუნკტი“.

საფუსიკო განყოფილებაში საუკეთესო მომღერალ-დამკვრელთაგან შესრულებული იქნება მრავალი ახალი ქართული სიმღერა-ჰიმნ-საგალობელნი.

გარჩეული იქნება თემატიურად და შესრულდება როიალზე პირველი **ქართული სიმფონიური პოემა**

„თქმულება ამირანზე“ კ. ფოცხვერაშვილისა.

თვითონ ფოცხვერაშვილი საილუსტრაციო ნიმუშთა შორის შეასრულებს სიმ ღერით და დაკვრით თორმეტ სხვა და სხვა ერთა კილოებს; იტყვის ქართულ ხმებს: **„ჩანგურულს“, „მესტვირულს“, „ღილინს“, „ვეფხის ტყაოსნის შაირს“** და წაიკითხავს (გალობით) ქართულ სახარებას.

ბილეთები 5 მანეთიდგან ათ შაურამდე ამთავითვე იყიდება ქ. შ. წ.-კ. გ. საზოგადოებაში.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე. **აფიშები არ გამოვა.**

კნეინა ნინო დავითის ასული, თ-დი ივანე გიორგის ძე და კნეინა ვერა ალექსანდეს ასული ციციშვილნი ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ 22 მარტს, საღამოს, წუთი სოფელს ტრაღიკულათ გამოესალმა, უსაყვარლესი და დაუვიწყარი, პირველისა შვილიშვილი, ხოლო მეორეთა—დისწული მეექვსე გიმნაზიის მოწაფე

თავადი გიორგი ვაჩნაძე

პანაშვიდები ყოველ დღე საღამოს 8 ს. განსვენებულ მშობელთა ბინაზე (ვაკე, ქართულ გიმნაზიის პირდაპირ სახლი ვარდანოვისა). გამოსვენება ბინიდან შაბათს, 26 მარტს, დილის 10 ს. ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში, სადაც გადახდილი იქნება წირვა და პანაშვიდი. დროებითი დაკრძალვა კუკიის წმ. ნინოს სასაფლაოზე.

თავადი ალექსანდრე ივანეს ძე, კნეინა თამარ გიორგის ასული, მართა და ელენე ალექსანდრეს ასულნი ვაჩნაძენი გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ უდროოთ გარდაცვალებას, პირველნი უსაყვარლესის შვილისა, ხოლო მეორენი ერთად ერთის ძმის, მეექვსე გიმნაზიის მოწაფის თავად

გიორგი ვაჩნაძისას

პანაშვიდები ყოველ დღე საღამოს 8 საათ.

(ვაკე, ქართულ გიმნაზიის პირდაპირ, სახლი ვარდანოვისა) გამოსვენება ბინიდან შაბათს, 26 მარტს, დილის 10 ს. ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში, სადაც გადახდილი იქნება წირვა და პანაშვიდი. დროებით დაკრძალვა კუკიის წმ. ნინოს სასაფლაოზე.

ახალი კლუბი

პარასკევს 25 მარტს 12 საათზე სიტყვაკაზმულ საზოგად. საბჭოს თაოსნობით

გაიმართება **დილა**

სანდრო შანშიაშვილი **წაიკითხავს** თავის ახალ ნაწარმოებს

„ბერდო ზმანია“-ს

დასურათებულს მხატვარ ვალ. სიდამონოვ ერისთავის მიერ.

სურათებს თვით ავტორი ეკრანზე (ბუნდოვან სურათებად) მსმენელთ უჩვენებს. ბილეთები იყიდება კლუბის კასაში.

წევრნი ქართულ სიტყვა კაზმულ საზოგადოებისა დილაზე შესასვლელ ფასს არ იხდიან. დილის გამგე—**ქართ.-სიტყვა კაზმული საზოგადოების საბჭო.**

სახალხო სახლი

პარასკევს, 25 მარტს

2 შეერთებული გუნდი 1, ქართველ მომღერალ-მგალობელთა და 2, ქართველ მუშათა მომღერალ-მგალობელთა (60 კაცისაგან შემდგარი)

მიხეილ კავსაძის ლოტბარობით, ახლად შეკერილ გუნდის საკუთარ ქულაჯებით, ჩერქესკებით და გლეხურად გამოწყობილი გამართავს 4 განყოფ.

კონცერტს

ძმათა კავსაძეების (ტრიო), **თ. ლ. ჯანდიერის** (სოლო-ურმული), **ი. საღირაშვილის** (თარი), **ვ. უსტიაშვილი** (ფანდური), **გ. ბეჟანიშვილის, გ. ბერიაშვილის, ვ. ჩეკურაშვილის, ვ. დედანაშვილის** და სხვათა მონაწილეობით.

დაწვრილებით პროგრამებში. ✦ ✦ ბილ. ფასები 15 კ. 1 მ 50 კ-მდე.

ბილეთები იყიდება თეატრის კასაში დილის 12-2 ს. საღ. 6-8 საათამდე.

დასაწყისი ნაშუადღევის სამ საათზე.

მორიგი წევრნი გამგეობისა: **ი. ქარსელაძე, გ. პეტრიაშვილი.**

კვირას, 27 მარტს, დილის 10 სგათზე **საბურთალოს აუდიტორიაში** მოხდება არაჩვეულებრივი

საზოგადო კრება

ქართულ წარმოდგენების მმართველ წრისა,

ნაცვლად 13 მარტის დანიშნულ კრებისა, რომელიც ვერ შესდგა. **განსახილველი საგნებია:** 1) არჩევნები ორი წარმომადგენლისა ქართულ კულტურულ დაწესებულებათა კავშირის კრებებზე დასასწრებლად; 2) გამგეობის წევრთა დამატებითი არჩევნები და სხვა მორიგი საკითხები.

(1—137—1) **წრის გამგეობა.**

სახალხო სახლი (კ. ზუბალაშვილის სახელობისა)

სამშაბათს 29 მარტს 1916 წ.

ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება ცნობილი ისტორიული პიესა ალ. იუჟინი—**სუმბათაშვილისა**

დრამა 5 მოქმედებად **ღალატი** თარგ. გრ. ყიფშიძისა.

მონაწილეობას მიიღებენ: აბაშიძე ტასო, ბეჟანიშვილი ს., პიერეტა, ქიქოძე ანეტა, დავითაშვილი ნ., აბაშიძე ვასო, გუნია ვალერიან, თარალაშვილი ი., ჟვიძე იოს., ვარვარიძე ვ., იმედაშვილი, კორიშელი პ., გვარაძე ნ. მამფორია ილ., სარაული მ. და სხ.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

რეჟისორი **კ. ანდრონიკაშვილი.**

ადმინისტრაცია ქართ. დრამ. საზოგადოებისა.

ადგილების ფასი 15 კ.-დან 1 მან. 50 კ.-დე“.

(3—73—1)

ვაგზლის სამკურნალოში

(შიხინოვის ვაგზლის აფთიაქის გვერდით)

სამკურნალოს ყველა ექიმეგმა

კვლავ განაახლეს ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 11—2 საათამდე.

აგრეთვე ექიმი—ქალი **მარ. კონ. იოსელიანისა** მიიღებს **დედათა სნეულებით** ავადმყოფთ დილის 10—11 საათამდე.

(თ.—126—10)

ქ. ბაქოში

ღვინით ვაჭრობა „მელაანი“

თ. ი. ზ. ანდრონიკაშვილი და ამხ.

იშოვება საუკეთესო კახური ღვინოები

(112—წ.)

საუკეთესო კახური ღვინის საწყობი

ადამ ზურაბის ძის ბერელაშვილისა

მოთავსებულია მიხეილის ქუჩაზე № 5. საკუთარი სახლი.

(102—წ.)

სასტუმრო „ევროპა“

ახლად შეკეთებული, მდიდრულად მოართული ნომრები.

უაღრესი სიფაქიზე. **ელექტრონის განათება**

ქალაქის შუაგულში, ვორონცოვის ძეგლის მახლობლად

ნომრები ყველასათვის ხელმისაწდომ ფასებშია.

თვიურ მდგმურებს ფასდაკლებით ეიმოგათ.

სასტუმროსთან მოწყობილია

სამზარეულო, ვანები თბილი და ცივი წყლით.

თბილისი, მიხეილის ქუჩა № 5. **ტელეფონი** 12—85.

ფეფის საწყობი

ნიკოლოზ იოს. ჭრელაშვილისა

ანდრიას ქუჩა, № 87. საუკეთესო ღორსების შუა

ყველასთვის ხელმისაწვდენ ფასში

საკუთარი ტყიდან

საწყობს აქვს გადამზიდავი ურმები და კისრულობს შინ მიტანასაც

(103—წ.) ტელეფონი 5—96.

საგალანტერიო მაღაზია

ერ. ივ. ჭავჭანიძისა და ი. ი. გველესიანისა

იმყოფება შუა ბაზარში, მანთაშევის ქარვასლაში.

იშოვება ყოველგვარი საგალანტერიო საუკეთესო საქონელი:

ჩულქეულობა, ქოლგები და სხვა ახალ მოდის საქონელი

(101—წ.)

გამგეობა

თბილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა

აცხადებს, რომ მორიგი

წლიური კრება

ამ საზოგადოების წევრთა, 11 მარტს დანიშნულ კრების ნაცვლად, რომელიც საკმაო წევრთა მოუსვლელობის გამო გადაიდო, დანიშნულია კვირას, მარტის 27-ს დილის 10 საათზე.

განსახილველი საგნები:

1) საბჭოს მოხსენება ანგარიშის თაობაზე. 2) საბჭოს მოხსენება თავისი მოღვაწეობის შესახებ. 3) სარევიზიო კომისიის მოხსენება. 4) 1915 წლის ანგარიში. 5) 1916 წ. ხარჯთ-აღრიცხვა. 6) არჩევნები: მორიგეობით გასულ გამგეობის წევრის გრ. თ. ყიფშიძის მაგიერისა, საბჭოს წევრთა არჩევა, ნაცვლად გამგეობის წევრად არჩეულ პ. ა. გოთუასი და მორიგეობით გასულ გ. მ. ლასხიშვილის მოადგილისა, სარევიზიო კომისიის სამი წევრისა და მათი კანდიდატებისა.

(3—72—1)

ხარფუხის საზოგადო კლუბი

(მიხაილოვის პროსპექტი № 129)

პარასკევს, 25 მარტს, **საზანდარი**

შაბათს, 26 მარტს, **სიმეგიანი ორკესტრი**

კვირას, 27 მარტს, **სიმეგიანი ორკესტრი**

ომის ამბები

ომის დეპეშები

უმაღლეს მთავარსარდლის შტაბისა.

პეტროგრადი, 23 მარტი. **დასავლეთის ასპარეზი.** ოფიციალი. რიგისა, იაკობშტადტისა და დვინსკის ადგილ-ადგილ თოფისა და საარტილერიო გამწვავებული სროლაა. ბევრ ადგილას გერმანელთა მფრინავნი ენერგიულად მოქმედებდნენ. ბევრგან ყუმბარები ჩამოჰყარეს, აგრეთვე ტყვიის მფრქვევლებსაც უშენენ. ბარანოვიჩის მიდამოებში აღმოსავლეთით ღამით 22 მარტს ცეპელინები გამოჩნდა. გალიციაში, ტერნოპოლის დასავლეთით გერმანელთა რაზმებმა იერიში მიიტანეს, მაგრამ რუსებმა ხიშტით მოიგერიეს. მტერმა დაჭრილებიც-კი დასტოვა ადგილობრივ მავთულების ხლართთან. იატაჩის რაიონის ჩრდილოეთით რუსებმა აიღეს სოფ. სვერჟკოვცე და ჭალის რაიონი.

კავკასიის ასპარეზი. შავი ზღვის ნაპირებზე კრეისერ „ბრესლაუს“ საარტილერიო ცეცხლით ზურგ გამაგრებული ოსმალები იერიშით წამოვიდნენ, მაგრამ დიდი ზარალით უკუგდებულ იქმნენ. ამავე დროს რუსებმა იერიში მიიტანეს ხსენებულ რაიონის ცენტრში და პოზიციების წინა ნაწილი აიღეს. ზემო ჭოროხის ხეობაში რუსებმა გადაჭრეკეს ოსმალები გამაგრებულ მთის პოზიციებიდან.

პარიზი, 22 მარტი. დღისის ოფიციალი ცნობა. არგონებში ჩვენ დავუშინეთ ზარბაზნები მტრის სიმაგრეებს მონფოკონის და მალანკურის მიდამოებში. მაასიდან დასავლეთით სიმშვიდეა. გერმანელებმა თავიანთი იერიშები დომონოსთან და ვოსთან აღარ განაახლეს. ჩვენი ზარბაზნები ამ ადგილებში დიდის სიძლიერით ახმაურდნენ. აღმოსავლეთით სეპრეტრის ტყიდან თოფის სროლით მტრის მზვერავნი გავფანტეთ. ელზასში ზარბაზნები დავუშინეთ სურსათის ურმებს, რომლებიც ტანნის და მიულჰაუზენის გზით მიდიოდნენ.

პარიზი, 22 მარტი. საღამოს ცნობა. ენის ჩრდილოეთით და არგონებში მტრის სიმაგრეებს ზარბაზნები დავუშინეთ. ს. ოკურთან მტრის იერიში მოვიგერიეთ. მდ. მაასიდან აღმოსავლეთით დუომონი და ვოსთან ცხარე ზარბაზნის სროლამ 3 საათს გასტანა. მტერმა მკაცრი იერიში მიიტანა ს. დუომონის სამხრეთით, ჩვენმა ზარბაზნებმა და ტყვიისმფრქვეველებმა დიდი ზარალი მიაყენეს მტერს, რომელიც იძულებული იყო შოფულის ტყისაკენ დაეხივნა. ვევრთან საარტილერიო ბრძოლაა. ვოგეზებში სამხრეთ-აღმოსავლეთით სოპეისლეგიდან გერმანელები ჩვენს თხრილებს მოუახლოვდნენ, მაგრამ უკუ ვაგდეთ. 21 მარტს, ღამე, ჩვენმა დირიჟაბლმა სად კლერომანზე 24 ყუმბარა ჩამოაგდო.

პარიზი, 23 მარტი. დღის ოფიციალი ცნობა. არგონებში ბოლანტის მიდამოებში ხელის ყუმბარებით ბრძოლაა. ლაფილთან ზღვაში ავაფეთქეთ ნაღმები, რითაც მტრის თხრილები დავანგრიეთ. მაასიდან დასავლეთით უბრალო შეტაკებებია. ლაკაიეტის ტყესთან ჩრდილოეთით წინ წავიწიეთ. ვერდენთან მულენვილ და შატილონის მიდამოებში ცხარე ზარბაზნის სროლაა. სენტ-მიელიდან ჩრთილოეთით გერმანელებმა მაასში 22 ნაღმი გაუშვეს ჩვენი სიმაგრეების ასაფეთქებლად, მაგრამ მიზანს ვერ მიახწიეს. ლორენში, არრაკურსა და სენ-მარტენის შუა, გერმანელებმა სხვა და სხვა ადგილებში ჩვენს სიმაგრეებზე იერიშები მოიტანეს, მაგრამ მტერი ყველგან მოვიგერიეთ. ვოგეზებში მტრის მზვერავი რაზმი მიუახლოვდა სელლთან ჩვენს თხრილებს, მაგრამ მოვიგერიეთ. ვერდენის მიდამოებში 15-ჯერ მოხდა ჰაერში ბრძოლა. გერმანელთა ერთი ჰაეროპლანი ოფურნოსთან ჩამოვაგდეთ, მეორე ტყეში ჩამოვარდა, მესამე-კი ყირამალა წამოვიდა. ჩვენი მფრინავები მშვიდობით დაბრუნდნენ. 23 მარტს ჩვენმა იფრინავმა სად. ნანტულიასთან 14 ყუმბარა ჩამოაგდო და 5 პარვილლესთან.

პეტროგრადი, 22 მარტი. ოფიციალი. გვარდიის კავალერი, სარდალი მე-8 არმიისა გენერალ-ადიუტანტი ბრუსილოვი ინიშნება მთავარ სარდლათ სამხრეთ-დასავლეთის არმიებისა.

ჟურნალ-გაზეთებიდან

ვერდენთან

პოლკოვნიკი რეპინქტონი ვერდენის შესახებ „Times“-ში სწერს: გერმანელთა ახალმა შეტევამ ვერდენთან ჩვენცა და მტერიც დიდ საგონებელში ჩაგვაგდო. ეხლა ყველასათვის ცხადია, უმთავრესი ბრძოლის ხაზი დასავლეთი მხარეა. გერმანელთა სიმკაცრე იმაზეა დამოკიდებული თუ რამდენი მაშველი ჯარი ჰყავს გენერალ ფალკენჰაინს. დანამდვილებით ვიცით, რომ მას ჯერ კიდევ საკმაო მაშველი ჯარი ჰყავს, ისე რომ უნდა მოველოდეთ მტრის მკაცრ შეტევას. გერმანელებს დასავლეთ ასპარეზზე 118 დივიზია ჰყავთ, გარდა ამისა ფალკენჰაინს 25 დივიზია ვერდენთან უყენია, ამ გვარათ მათ საშუალება ეძლევათ ბრძოლის ინიციატივა ხელიდან არ გაუშვან. გერმანელებს რომ ვერდენის ხაზი მალე გაერღვიათ, მათს შეტევას ფართო ხასიათი ექმნებოდა. დღეს გერმანელები მერმედ ეხეთქნენ ვერდენს და ეცდებიან ყველა მაშველი ჯარი გამოიყენონ.

გერმანელების ჰაეროპლანები.

18 მარტს ორმა გერმანელმა მფრინავმა 4 ყუმბარა ჩამოაგდო ქ. ნორენტრიუიში და ზარალი მიაყენა. ეს მესამე შემთხვევაა შვეიცარიაში ყუმბარების ჩამოყრისა ფედერატიულმა საბჭომ ბერლინს გულისწყრომა შეუთვალა.

ვერდენთან ბრძოლა.

„პრავიტ. ვესტნიკი“ იტყობინება: ბრძოლა ვერდენთან მკაცრ ხასიათს იღებს, გერმანელებს მაშველი ჯარი კიდევ ბევრი ჰყავს, ამისათვის უფრო მკაცრ ბრძოლას უნდა ველოდეთ იმისი თქმა, ვითომც ვერდენთან გერმანელები დამარცხდნენ, უსაფუძლოა. ამისათვის ბრძოლის სიმკაცრეს უნდა ველოდეთ ვერდენის მიდამოებში.

როდზიანკო ზავის შესახებ.

პავლოვმა წერილობით განაცხადა: როდზიანკოს გერმანეთთან ზავის შესახებ არა უთქვამს რა და წერილის შედგენაში მონაწილეობა არ მიუღიაო.

კრება როდზიანკოსთან.

21 მარტს, როდზიანკოს კაბინეტში შესდგა კრება იმ პირთა, რომლებიც საზღვარ გარეთ დელეგატებად მიდიან. კრებას დაესწრნენ: საზონოვი, ბარკი, ზახოვსკოი, პოკროვსკი და ნაუმოვი. ესენი სტოკჰოლმში წავლენ, რომ შვედელ პარლამენტარიების აზრი გაინაწილონ დეპუტატ სავენკოს გამოსვლის შესახებ.

გემების დალუპვა

ენენვიდან „Matin“-ს ატყობინებენ: ჰამბურგის სასამართლომ ნორვეგიის გემების „ეთის“ „ეტის“, „მორანის“, აგრეთვე დანიის „ტორვალდსენის“ და სხვათა დაღუპვა სამართლიანად იცნო, ისე რომ ზარალის ანაზღაურებაზე გემების პატრონებმა ხელი უნდა აიღონ.

ვერდენთან ბრძოლა.

„Berliner Tageblatt“-ის აზრით ვერდენთან გერმანელთა შეტევა წესიერად მიმდინარეობს. დღემდე გერმანელებს ტყვედ წაუყვანიათ 513 აფიცერი და 29.966 ჯარისკაცი; დავლად წაუღიათ 189 ზარბაზანი და 232 ტყვიისმფრქეველი. გაზეთის აზრით ფრანგებმა 90 ათასი კაცი დაჰკარგეს. გერმანელები მეც-ვერდენ-პარიზის გზას მიუახლოვდნენ. რუსეთი ვერ შესძლებს თავისი შეტევით ფრანგებს რითიმე დაეხმაროს, რადგანაც მის იერშების ადვილად ვიგერიებთ. ამხანად 11 აფიცერი და 1,173 რუსი ჯარისკაცი ტყვედ ჩაგვივარდა.

გერმანეთი და შეერთებული შტატები.

ლონდონიდან იტყობინებიან: გერმანეთს და შეერთებულ შტატებს შორის დამოკიდებულება ჯერ ასე არა ყოფილა გამწვავებული. ადვილი შესაძლებელია ამ ორ სახელმწიფოთა შორის ახლო მომავალში ბრძოლაც გაჩაღდეს. ზოგიერთი გაზეთი ირწმუნება: საზღვაო დეპარტამენტმა ატლანტიის ფლოტს უბრძანა, მზად იყოს ჩრდილოეთისაკენ გასამგზავრებლად.

გერმანეთი და ბრაზილია.

პარიზიდან იტყობინებიან: გერმანეთი მოითხოვს ბრაზილიისაგან პასუხს, მის საწინააღმდეგო დემონსტრაციის გამართვის გამო. ამ გვარ მოთხოვნილებას იმითა ჰხსნიან, რომ გერმანეთი შიშობს ბრაზილიამ არ დაატყვევოს მისი გემები, რომლებსაც სამხრეთ ამერიკის ნავთსადგურებში მოუყრიათ თავი.

ეკონომიური კავშირი.

ნეიტრალ სახელმწიფოთა გაზეთები იუწყებიან: ბულგარეთის მეფე ფერდინანდმა, ბერლინში ყოფნის დროს ვილჰელმთან ერთად ხელი მოაწერა გერმანეთ-ბულგარეთის ეკონომიურ შეკავშირებას, რომელიც 50 წლის ვადით დაიდო.

ადმირალი რონარკი.

პარიზიდან იტყობინებიან: ვიცე-ადმირალი რონარკი, იზერთან ბრძოლაში განთქმული, საზღვაო ჯარის მთავარ სარდლათ დაინიშნა, რომელიც ჩრდილოეთ საფრანგეთის სანაპიროზე მოქმედობს.

ალბანეთი.

მინისტრმა რადოსლავოვმა სახალხო კრებაზე განაცხადა: ბულგარეთი არცა ყოფილა და არც იქმნება წინააღმდეგი ალბანეთის ავტონომიისა. პირიქით ბულგარეთი ეცდება ალბანელთა ეს მისწრაფება განახორციელოს.

გერმანელთა ჰაეროპლანები.

ბულგარეთის სააგენტო იტყობინება: გერმანელთა მფრინავები სალონიკს და მის მიდამო ადგილებს თავს დაესხნენ და რვაასი ყუმბარა ჩამოაგდეს.

ინგლისის მუშები ომის გაგრძელებას მოითხოვენ.

ლონდონიდან დეპეშით იტყობინებიან: ბელგეთის სოლ.-დემ. ვანდერველდე და გიუისმანსი ჩამოვიდნენ. ამათ ჰსურდათ გამოეკვლიათ, თუ რამდენად შესაძლებელია სოციალისტებმა ზავის შესახებ მოლაპარაკება გამართონ. ინგლისის პარლამენტის მუშათა ფრაქციამ დაადგინა: ინგლისის მუშათა პარტია ეთანხმება ფრანგ სოციალისტებს და უარს ჰყოფს გერმანელ სოციალისტებთან რამე კავშირის დაჭერას, ვიდრე გერმანეთი არ განადგურდება.

ლორდ ბერესფორდის აზრი.

ლორდ ბერესფორდი, რომელიც გამოჩენილ ინგლისის იმპერიალისტად ითვლება, ლორდების პალატაში, მესოპოტამიაში მოქმედებას კრიტიკით შეეხო. იგი ჰკიცხავდა მათ, ვინც ღენ. ტაუზენდს მესოპოტამიაში სამოქმედოდ შესაფერი ძალა არ მისცა.

„ნამდვილი სისულელეა,—წამოიძახა ლორდ ბერესფორდმა,—გენერალ ტაუზენის მესოპოტამიაში სამი დივიზიით გაგზავნა, მით უფრო რომ მას დააკისრეს ამ მცირე ჯარით ბაღდადისაკენ გზა გაერღვია“.

რეიხსტაგი წყალქვეშა ომის შესახებ.

რეიხსტაგის უკანასკნელ სხდომაზე რომელზედაც სოც.-დემოკრატებიც დაესწრნენ, უმრავლესობამ ერთის წინააღმდეგ, წყალქვეშა ომის შესახებ შემდეგი რეზოლიუცია გამოიტანა: წყალქვეშა ომი ინგლისთან ერთი საუკეთესო იარაღია იმის წინააღმდეგ, რომ ინგლისს განზრახვა ჰქონდა შიმშილით დაემხო გერმანეთი. რეიხსტაგი საჭიროდ სთვლის გამოიყენოს წყალქვეშა გემები, რათა ამის საშუალებით მომავლისათვის გერმანეთმა მტრებთან სასურველი ზავი შეჰკრას. ნეიტრალ სახელმწიფოების შესახებ კი უნდა ისე იმოქმედონ, რომ მათი კანონიერი ინტერესები შებღალულ არ იქმნეს.

ბრძოლის ველზე

ვერდენის შესახებ მეტად არეული ცნობები მოდის. ოფიციალი და კერძო დეპეშები ერთი მეორის საწინააღმდეგოს მოგვითხრობენ. გაცხრილვის შემდეგ კი იმ დასკვნას ვადგებით, რომ მდგომარეობა ფრიად სერიოზულია. უნდა ვიფიქროთ, რომ მდგომარეობა ფრიად სერიოზულია. გაზეთ „Gaulois“-ს ცნობა ფრიად საყურადღებოა. უნდა ვიფიქროთ, რომ ციხეთა მთავარი სექტორი აღმოსავლეთით დანგრეულია. სამაგიეროდ ცოცხალ ძალას თავი დაუღწევია და მიტომაც მორალური გავლენა არ მოუხდენია მათს დაცემას. მაასის მარცხენა მხრით გერმანელთ მდინარეში 22 ნაღმი გაუცურებიათ. ეს მესამე შემთხვევაა ამ დიად ოპერაციაში რომ გერმანელებმა მცურავი ნაღმები მოიხმარეს. ასეთი დაჟინება აიხსნება ისევ იმ მიზნით, რომ მეციხოვნეთ და მეტროპოლიის ჯარს შუა ჩასწყვიტონ შემაერთებელი ხიდი. საზოგადოდ გერმანელთ ყოველ მხრით მიაქვთ იერიშები. სჩანს ვერდენის ოპერაციის ტემპის დაჩქარება სურთ, რომ სხვა ასპარეზებსაც სათანადო ანგარიში გაუწიონ. არ უნდა გვავიწყდებოდეს, რომ იმ დროს, როდესაც ვერდენის ოპერაცია საკულმინაციო წერტილს აღწევს, მისი ყოველი წუთიერი მაჯის ცემა პოლიტიკურ ჰორიზონტზე ცვალებადობას ახდენს. როგორიც ვიცით, ყრუდ გაისმის ჰოლანდიის ფარხმალის ყღარუნი. რუმინეთმაც ხელახლად დაიწყო ხმაურობა. სუსტ ძალებს ყოველთვის ისეთ შემთხვევაში უყვართ ვაჭრულის ანგარიშით თავის წამოყოფა. ასევე ჰბორგავს საბერძნეთიც. ყველას ყურადღების ისარი ვერდენის ოპერაციისკენაა მიმართული. მისი გადაწყვეტა ხმას ამოაღებინებს ამ სახელმწიფოთ, რომელთა იანუსის სახე ყოველთვის გამარჯვებული უცინის ხოლმე. მათში, თქმა არ უნდა, დამაფიქრებელია ჰოლანდია. მას გამოსვლას აიძულებენ ინგლისელები, რომ ბლოკადა გერმანიისა უფრო მტკიცე ჰყონ, სული შეუხუთონ მძვინვარე მტერს. მაგრამ, როგორც ვსთქვით, ყველა ეს სახელმწიფონი მხოლოდ გამორჩენის წყურვილით არიან გადარეულნი და მიტომაც მათი იანუსისებური სახის არც სიცილი უნდა გვჯეროდეს, არც თუ მრისხანე კოპების შეკვრა.

რუსეთის ასპარეზზე მოქმედება შეჩერებულია. დუმილი რომ ხანგრძლივი იყოს, ეს არც რუს მიმომხილველებს სჯერათ. ყველანი ერთხმად აღნიშნავენ, რომ ავდრიანობა აფერხებს აქეთ მოქმედებასაო. ასახელებენ მეორე მიზეზსაც, ვითომც გერმანელი რეზერვები სულ ვერდენის ოპერაციების მოსარჩენად წაიყვანესო, მაგრამ ამ მეორე მიზეზს მხოლოდ თუობითი მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან გერმანელები ყოველგვარ რისკს ერიდებიან. ყველა ფრონტი თუ რაოდენადმე უზრუნველყოფილი არა აქვთ, ერთს კაცსაც ვერ მოაკლებენ. და რომ ეს ასეა, სჩანს იქიდანაც, რომ არც საფრანგეთის ასპარეზზე კალედან ვერდენამდე და არც რუსეთისაზე არ ჰფიქრობენ იერიშის მიტანას გერმანელთა უკუსაქცევად.

სიმპტომატიურ მოვლენად უნდა ჩაითვალოს კრეისერ ბრესლაუს გამოჩენა შავს ზღვის ნაპირებზე. ეს მით უფრო საგულისხმიეროა, რომ სწორედ გამოჩენა მისი მოჰყვა „პორტიუგალის“ დაღუპვას. სჩანს, შავ ზღვაზე რუსის ფლოტი არ ყოფილა გაბატონებული, თორემ „ბრესლაუ“ არ გაკადნიერდებოდა ხმელეთის ჯარს დაჰხმარებოდა და ზღვიდან რუსთათვის ზარბაზნები დაეშინა. უნდა ვიფიქროთ, რომ „ბრესლაუს“ თან სხვა ნაღმოსნებიც ახლდებიან. ახლო მომავალში კვლავ კავკასიის ასპარეზზე მნიშვნელოვან ამბებს უნდა ველოდეთ.

X.

თბილისი, 25 მარტი.

ვაჭრობის და მრეწველობის სამინისტრო

სახელმწიფო სათათბირომ 22 მარტის სხდომაზე ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს ხარჯთ-აღრიცხვა განიხილა რუსეთი ასეთ საშინელ ომიანობის ხანასაც რომ არ გაჩერებულა, ამ უწყების მოღვაწეობა, მაშინაც მეტი ყურადღების ღირსი იყო. სათათბირომ ერთს სხდომაზე მორჩა იმ უწყების მოღვაწეობის დაფასებას, რომელიც სახელმწიფოს ეკონომიურ ცხოვრებას სათავეში უნდა უდგეს. უსიცოცხლო იყო ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრის სიტყვა და კიდევ უფრო უსიცოცხლო—დეპუტატთა პასუხი. არ ჰქონდა ადგილი რუსეთის ვაჭრობა-მრეწველობის მდგომარეობის ფართე გაშუქებას, რუსეთის ეკონომიურ ვითარების გათვალისწინებას და მომავლისთვის სამოქმედო გეგმების შემუშავებას

ამ უწყებას კი ბევრი რამ უნდა ემცნო ხალხის წარმომადგენლებისთვის. სახელმწიფოს ეკონომიური ცხოვრების საოცარი მოუწყობლობა უპირველეს ყოვლისა ვაჭრობა-მრეწველობის უწყებას უნდა აგონდებოდეს. ის მოვლენა, რომ წარსულ წელს საზღვარ გარეთ რუსეთის საქონლის გაზიდვა თითქმის 8-ჯერ შემცირდა, და შემოტანაც სამჯერ—რუსეთისთვის დიდი მნიშვნელოვანი მოვლენაა. სახელმწიფოს შინაურმა ვაჭრობა-მრეწველობამაც დიდი რყევა განიცადა ომის გამო. მან დაჰკარგა საუკეთესო სამრეწველო რაიონები—პოლონეთი და ბალტიის მხარე. თითეულ წარმოება—სამთა-მადნოა თუ შაქრის, ლითონის თუ ხე-ტყის, ასე ვთქვათ მომენტით სცხოვრობს; მწარმოებელი ჰხედავს საქმის დღეგანდელ ვითარებას—მისთვის ხელ-საყრელ თუ საზიანოს და არ იცის რა იქნება ხვალ.

რუსეთის ვაჭრ.-მრეწ. ამ საოცარი რყევის თანდათანობით შემცირება და რუსეთის ეკონომიური ცხოვრების მოწესრიგება ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს საზრუნავ საგანს შეადგენდა. სათათბიროს სდომაზე გამოირკვა, რომ ამ მხრივ თითქმის არაფერი არ გაკეთებულა და უწყება ჯერ კიდევ თეორიებსა და პროექტებს არ გასცილებია. თუმცა თ-დი შახოვსკი სათათბიროს გადაგდებულ პრაქტიკულ ნაბიჯებზედაც უთითებდა, მაგრამ უთუოდ თვითონაც კარად გრძნობდა, რომ გერმანეთისა და ავსტრო-უნგრეთის საქონლისა, თუ რამოდენიმე მილიონი ფუთის საფუფუნო ნივთების შემოტანის აკრძალვა სახსენებელიც არ იყო იქ, სადაც მინისტრიდან რუსეთის ეკონომიურ ცხოვრების აღდგენა-გაძლიერების თაობაზე საიმედო სიტყვის გაგონებას მოელოდენ. მინისტრმა სათათბიროს ჩამოუთვალა მთელი რიგი პროექტებისა—საბაჟო წესებისა თუ სავაჭრო კანონმდებლობისა და მრავალი სხვა, რომლის შეშუშავებას სამინისტრო შესდგომია. ამის შემდეგ საფუძვლიანი იყო დეპუტატ ტიტოვის შენიშვნა—დროა რუსეთის მწარმოებელ ძალთა განვითარების შესახებ მრავალჯერ წარმოთქმულ განყენებულ ფრაზებში განსაზღვრული შინაარსი ჩაიდოსო.

სათათბირომ დაჩქარებით განიხილა და მიიღო ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს ხარჯთ-აღრიცხვა: არ წარმოთქმულა ვრცელი სიტყვები და უწყების მოღვაწეობის კრიტიკაც მეტად ზოგადი და მკრთალი იყო.

—სათათბირო თითქოს გრძნობდა ამ სამინისტროს უძლურებას და სხვა უწყებებიდან სრულს დამოკიდებულებას. ამით აიხსნება, რომ ვაჭრობისა და მრეწველობის მდგომარეობის შესახებ უფრო ვრცელი და შინაარსიანი სიტყვები წარმოითქვა არა ეხლა, როდესაც ვაჭრობის და მრეწველობის სამინისტრო წარსდგა სათათბიროს წინაშე, არამედ წინეთ, როდესაც სათათბირო შინაგან და ფინანსების სამინისტროს ხარჯთ აღრიცხვას იხილავდა. ბუბლიკოვმა გულახდილად განაცხადა, ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს უძლურება და სხვა სამინისტროებისგან დამოკიდებულება რუსეთის ვაჭრობა-მრეწველობის განვითარებას დიდათ აფერხებსო. მინისტრმა ვერც იმ მოვლენას გაუსვა ხაზი, რომ რუსეთის ეკონომიურ ძალთა ამოძრავება შესაძლებელია მხოლოდ ვაჭარ-მრეწველთა კლასის გონიერი მუშაობის შემწეობით და მაშასადამე ის პოლიტიკა, რომელსაც აწარმოებს მთავრობა ამ წრეთა წინააღმდეგ—სახელმწიფოს მომავლისთვის მავნებელია. თ-დ შახოვსკის გაახსენდა ალბად, რომ ვაჭარ-მრეწველებთან თანხმობით მუშაობისთვის ერთი მინისტრი ამ მოკლე ხანში დათხოვნილი იქმნა და ამ სახიფათო საკითხს გვერდი აუხვია.

—

სამეურნეო საზოგადოებანი

დღეს ქ. გორში გორის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების პირველი დამფუძნებელი კრებაა დანიშნული. ასეთივე საზოგადოება გაიხსნა ამ მოკლე ხანში ქ. ქუთაისში და აპრილის პირველ რიცხვებში დანიშნულია ქ. ოზურგეთის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების დამფუძნებელი კრება. ყოველივე ეს უტყუარი საბუთია, რომ ჩვენი მეურნეობა სცდილობს თავი დააღწიოს იმ მეტად მძიმე პირობებს, რომელშიაც ეხლა იმყოფება და სოფლის ცხოვრების ასაყვავებლად შეკავშირებულ საქმიანობის ასპარეზზედ გამოდის. ეს დიდათ საყურადღებო მოვლენაა ჩვენს ცხოვრებაში და რაც უნდა მწარე იყოს ჩვენი ეროვნული ცხოვრების სინამდვილე, ყოველ ჩვენში ცხოველ იმედებს უნდა აღძრავდეს.

ჩვენი სამშობლო უმთავრესად საეურნეო ქვეყანა. ასეთი იყო ის წინედ და ასეთივე დარჩა დღემდის. მეურნეობის თითქმის ყოველ დარგის განსავითარებლად ჩვენი ბუნება მეტად უხვია. მიწა ნოყიერი და ჰაერი ზომიერი. მიუხედავად ამისა ჩვენი ხალხი წარმოუდგენელ სიღარიბეშია და ამ უკანასკნელ წლებში ხომ თითქმის განუწყვეტელ სიმშილობას განიცდის. არ გამოიძებნება ამის ასახსნელად სხვა რამ მიზეზი გარდა იმისა, რომ ჩვენ ჩვენი უხვი ბუნებით შესაფერად ვერ ვსარგებლობთ და ეხლანდელ პირობების შესაფერ საქმიანობას ვერ ვაწარმოებთ. ამ ორთქლისა და ელექტრონის ხანაში ჩვენ ისევ თოხს და სახნის ვამუშავებთ. ცხოვრების ყოველ დარგში მეცნიერების გაბატონების ჟამს ჩვენ ადამის დროის ცოდნა-გამოცდილებით ვართ აღჭურვილი. ასეთს პირობებში არც გასაკვირველია, რომ ჩვენი ერი საოცარ ეკონომიურ უძლურების განიცდის.

საერთო მძიმე ქონებრივი პირობები ამ რამოდენიმე წლის მოუსავლიანობამ და საშინელმა ომმა კიდევ გაართულეა. სოფელი განსაცდელში ჩავარდა და მეურნეთა ფართო წრეების მიზან-შეწონილი და შეკავშირებული მუშაობა თუ გამოიყვანს მას ასეთს სახიფათო მდგომარეობიდან. მუშა ხელი, საქონელი თუ მანქანები, წამალი და საკვები სურსათიც—საზოგადოთ ყოველივე ის, რაც დღეს ჩვენს მეურნეობას ესაჭიროება, მხოლოდ შეერთებულის ძალით მოიპოვება. თითოეული მეურნე ცალკე უძლური და უმწეოა; ხოლო შეთანხმებული და შეკავშირებულნი უტყუარ ძალას წარმოადგენენ.

დეპეშები

(პეტროგრადის საკუთარ კორესპ.)

ჰოლანდიიდან მოსული ცნობების თანახმად მდგომარეობა არც ისე რიგად გამწვავებულია, რომ ომის მოლოდინი გვქონდეს, თუმცა მდგომარეობა იგი დამაფიქრებელია.

—

ფრანგული გაზეთი „გოლუა“ სწერს: გერმანელებმა ვერდენთან ათასი მძიმე ზარბაზანი დასდგეს. საათში თვითეული მათგანი 60 ყუმბარას ისვრისო. ფრანგთა სიმაგრენი გადახნულია, თუმცა ამ გარემოებას ფრანგთა ჯარებზე არავითარი მორალური გავლენა არ მოუხდენიაო. ამის გამო „პრავიტ. გესტნიკი“ სწერს: ვერდენის მდგომარეობა გამწვავდა და გერმანელთა სასარგებლოდ მიმდინარეობს, რადგანაც ისინი არ ერიდებიან აუარებელ ზარბაზნის ტყვია წამლის ხარჯვასაო.

—

„ბირჟ. ვედომ.“ ლონდონიდან ატყობინებენ: ელბოსანში დაარსდა ლიგა ალბანელთა ახალი მთავრობისა მათი ხელმძღვანელია აკიფ ფაშა. ეს ლიგა მხურვალე აგიტაციას ეწევა მეფე ფერდინანდის მემკვიდრე კირილის სასარგებლოდ. ლ. ჯ.

—

(მოსკოვის საკუთარ კორესპ.)

„რუსკი ინვალიდი“ სწერს: გერმანელებმა საფრანგეთ-ბელგეთის ასპარეზზე დიდ ძალი სათადარიგო ჯარი გადასხეს, რომ იქ ბრძოლის ახალი ასპარეზები გააჩაღონ და ძლიერი შემოტევა დაიწყონ, ვიდრე რუსეთში წყალდიდობა გაივლიდეს და სამხედრო მოქმედებისთვის ხელსაყრელი პირობები დადგებოდეს.

—

ჰოლანდიამ თავისი ხმელეთისა და ზღვის ჯარების მობილიზაცია მოახდინა და საომარ წესებში გამოაცხადა.

—

ინგლისზე ცეპელინების თავდასხმამ სისტემატიური ხასიათი მიიღო. ცეპელინების წინააღმდეგ ბრძოლა ფრიად საძნელო შეიქნა და ლონდონი საფიქრებელში ჩავარდა.

—

კრეისერი „ბრესლაუ“ სათარეშოდ გამოვიდა და რუსეთის შავი ზღვის სანაპირო პოზიციებს ზარბაზანს უშენს. გ. ვ.

—

(პეტროგრ. სააგ. დეპეშა).

გალიციაში რუსებმა მოიგერიეს ავსტრიელების იერიში.

—

ვერდენის სიმაგრეების ასაფეთქებლად მდ. მაასზედ გაუშვეს 22 ნაღმი. ფრანგებმა აღმოსავლეთით დაიბრუნეს ლაკეტის ტყის ნაწილი.

—

ათინიდან იტყობინებიან: გენადიევი, ნამინისტრალი გალაჩევი და ექვსი სხვა პირი დააპატიმრეს. მათ ამბოხების მომხრეებად სთვლიან.

—

გერმანელებმა შემდეგი გემები დაღუპეს: „ბენ დიუ“ ბრიტანიის გემი და „ვიგო“ ესპანიისა.

—

ლონდონიდან იტყობინებიან: 23 მარტს, ღამის 2 საათზე, ინგლისის აღმოსავლეთ სანაპიროებზე „ცეპელინი“ გამოჩნდა და რამდენიმე ყუმბარა ჩამოეგდო

—

23 მარტს სახელმწიფო საბჭოს წევრი, პროფესორი მაქსიმ კოვალევსკი გარდაიცვალა.

დეპეშა

ქუთაისი. გამომცემელ ამხანაგობის „საქართველო“-ს ქუთათური მეპაიები, აღჭურვილნი დიადი ეროვნული იდეით, უძღვნიან აღფრთოვანებულ სალამს თბილისელ და ბაქოელ თანამოაზრეთ.

თავმჯდომარე ი. მ. ჩიქოვანი.

კვირის სურათებიან დამატებაში მოთავსებული იქნება სურათები: ცოდვის აჩრდილი, ბრძოლის ველი, ბრძოლა ქალაქის ქუჩაში და სხვა. ლექსი მაყაშვილისა და მოთხრობა ვალ. შალიკაშვილისა. გასართობი, რამდენიმე კარიკატურა.

ვერის ხელის მომწერთა საგულისხმოდ

ვაცხადებთ, რომ გაზეთის დამტარებელი გარდაიცვალა და მისი მოადგილე ჯერ ვერ არის გაწაფული, ეს ორი დღეა გაზეთები წესიერად ვერ ურიგდებათ. დღეიდან საქმე მოწესრიგებულია.

ახალი ამბავი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეფის ნაცვალი დიდი მთავარი ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე სადარბაზოდ იყო საქართველოს ექსარხოს ყოვლადუსამღვდელოესს პლატონთან.

— მეფის ნაცვლის ბრძანებით დაჯილდოებულ იქმნეს წმ. ვლადიმერის ორდენით კაპიტანი განჯის პოლკისა სვ. წერეთელი, ხოლო წმ. ანნის ორდენით მღვდელი ს. ლორთქიფანიძე და პრაპორშჩიკები ფირცხალაიშვილი და თ-დი ალ. ვაჩნაძე.

— დილა. დღეს 12 საათზე ახალ კლუბის დარბაზში ალ. შანშიაშვილი წაიკითხავს თავის ახალ ნაწარმოებს „ბერდო ზმანია“-ს.

— დიდი კონცერტი. დღეს სახალხო სახლში ორი შეერთებული გუნდი მიხეილ კავსაძის ლოტბარობით მართავს დიდ კონცერტს.

გუნდისგან დამოუკიდებელ მიზეზისა გამო კონცერტი ნაცვლად დილის 12 საათისა დაიწყება ნაშუადღევის **სამ საათზე.**

— შავი-ზღვის პირის ვიცე გუბერნატორი ბ. რიდელი სამსახურიდან გადაყენებულ იქმნა თხოვნის თანახმად. მის ადგილას შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო საქმეთა მინდობილობის მოხელე სენკო-პოპოვსკი დაინიშნა.

— სააბრეშუმო სადგურზე. იაპონიის სხვა და სხვა სააბრეშუმო ოლქებიდან მიღებულ იქმნა აბრეშუმის ჭიის თესლი, კავკასიაში საცდელად.

— მეაბრეშუმეობა ქართველ მაჰმადიანთა შორის. ქართულმა საქველმოქმედო საზოგადოებამ 2.000 მისხალი აბრეშუმის ჭიის თესლი შეიძინა კავკასიის სააბრეშუმო სადგურიდან ქართველ მაჰმადიანთა სოფლებში დასარიგებლად. აბრეშუმის ჭიის მოვლა და საზოგადოდ მეაბრეშუმეობა სცოდნიათ ქობულეთში, ხოლო აჭარის სოფლებისათვის ეს ხელობა უცნობი ყოფილა. ამიტომ აღნიშნულ საქველმოქმედო საზოგადოებას გადაწყვეტილი აქვს, გურიაში დაიქირაოს ხანში შესული რამდენიმე მანდილოსანი და აჭარის სოფლებში გაგზავნოს, როგორც ინსტრუქტორები, მეაბრეშუმეობის ცოდნის გასავრცელებლად.

— საადღესასწაულო საჩუქრები. მიესკის სააქციზო გამგეობას 300 მანეთი გამოუგზავნია კავკასიის ფრონტის მხედრობისათვის საჩუქრების შესაძენად საადგომოთ.

— თბილისში ჩამოვიდა აჭარის სკოლების უფროსი ბ-ნი ერემია გულისაშვილი, რომელმაც ახალი მასწავლებლები უნდა წაიყვანოს აჭარაში.

— საკვები. უკანასკნელ დროს ქართულ საქველმოქმედო საზოგადოებას მოუვიდა 27.000 ფუთი ფქვილი, 40 ათასი ფუთი გუშინ იტვირთებოდა გემში გენიჩესკის პორტში და 80.000 ფუთი ხორბალი უკვე მოაქვს ფეოდოსიის პორტიდან გემს.

— სურსათი. თბილისის ქართველმა საქველმოქმედო საზოგადოებამ გუშინ 9 ვაგონი ფქვილი გაგზავნა გორში. ეს ფქვილი დანაწილდება გორისა, ცხინვალისა, ძევერისა, ტყვიავისა და მეჯვრისხევის ღარიბ მეკომურთა შორის. თითო ხუთ ფუთიანი ტომარა ფქვილი პირველი ხარისხისა № 5 გორში ჩაჰბარდებათ 17 მანეთად. ხოლო ქატოიანი (რაზმოლი)—15 მან. ამ ფქვილს გორში მიიღებს გორის საკრედიტო ამხანაგობა.

— ფულის გადადება. მთავრობას გადაუდვია ავახსად ქალაქთა კავშირის კავკასიის განყოფილებისათვის 100 ათასი მანეთი. ეს ფული უნდა მოხმარდეს კავკასიის ფრონტის გადმოხვეწილთა სასანიტარო და სამკურნალო საჭიროებას.

— კავკასიის სასოფლო სამეურნეო საზოგადოებაში დღეს დილის 11 საათზე დანიშნულია ამ საზოგადოების საბჭოს კრება რომელზედაც განხილული იქნება მოქმედების გეგმის შემუშავება საზოგადოების სტატისტიკურ ბიუროსი; მსხვილფეხ საქონლის აღწერის ორგანიზაცია და კავკასიაში სათეს მინდვრის რაოდენობის გამოკვლევა.

— ნიხრი. თბილისის გუბერნატორმა 17 მარტს დაამტკიცა ახალი ნიხრი მთელ სურსათ-სანოვაგეზე. გირვანქა 1 ხარისხის პური ფურნისა ღირს 7 კაპ. თონისა $7^1/_2$ კ. მეორე ხარისხისა ფურნისა $6^1/_2$ კაპ. თონისაც $6^1/_2$ კაპ. მესამე ხარისხი ფურნისა $5^1/_2$ კაპ. ლავაში 1 ხარისხის თონისა $7^1/_2$ კაპ. მეორე ხარისხის თონისა $6^1/_2$ კაპ. ფრანგული ბულკი $^1/_2$ გირვ. წონისა 6 კ. ხორცი ძროხისა 25 კ. ცხვრისა 24 კ. კამეჩისა 15 კ. ღორისა 22 კაპ. დაკლული ინდაური და ქათამი გირ. 50 კაპ.

მიწათ-მოქმედების დეპარტამენტის რწმუნებულმა წინადადება მიიღო ზედამხედველი კომიტეტი დაარსდეს ოძისში (დუშეთის მაზრა), სახელმწიფო პრაქტიკულ სკოლის სკოლის საქმეების განსაგებლად. კომიტეტში უნდა შევიდნენ ერთი წარმომადგენელი მიწადმოქმედების დეპარტამენტისა ორი წარმომადგენელი ადგილობრივ მეურნეთა ან სასოფლო საზოგადოებიდან და საგუბერნიო საერობო აგრონომი.

შემოიტანეს თბილისში 23 მარტს: ფქვილი 30 ვაგ., ხორბალი 10 ვაგ., ქერი 8 ვაგ., სიმინდი 1 ვაგ., შაქარი 4 ვაგ., მაკარონი 1 ვაგ., კარტოფილი 2 ვაგონი.

გადამდები სნეულებანი. გუშინ, 24 მარტს, ქალაქის საავადმყოფოში იწვნენ: ქუნთრუშიანი 125, ხუნაგიანი 13, ყვავილიანი 4, სახადიანი 118 (ამათში 87 კაცი სამხედრო უწყების არის), საოფლიანი 8, და ხოლერიანი 1 კაცი.

ბოლო.

დღეს, 12 საათზე ქალაქის თვითმართველობაში მოხდება ბორის სასოფლო სამეურნეო საზოგადოების პირველი დამფუძნებელი კრება.

ქუთაისი.

ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა არა ჩვეულებრივი კრება დაიწყება 4 მაისიდან. ამ კრებაზე მოხდება გუბერნიისა და სამაზრო მარშლების არჩევნები, აირჩევენ აგრეთვე ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკის 105 რწმუნებულს.

— ქუთაისის ქალაქის სანიტარ ექიმათ დაინიშნა კ. ი. აზჩიანცი.

— სამშაბათს, 22 მარტს, დილის მატარებლით ტყიბულში გაემგზავრა ქუთაისის საგუბერნიო ექიმი ტერტეროვი და კავკასიის ოლქის საექიმო სამმართველოს ნამდვილი წევრი ბ-ნი ვიხრევი, რომელნიც გამოარკვევენ ტყიბულის ქვა ნახშირის მაღაროებსა და სოფლებში შავი ჭირის გავრცელებას და ზომებს მიიღებენ. ეს ორი კვირაა ქუთ. გუბერნიის ექიმის თანაშემწე ექიმი ბ-ნი ნ. შენგელია ოკრიბაშია რომ ზომები მიიღოს, რათა შავი ჭირი არ გავრცელდეს.

— ქუთაისის გუბერ. სასურსათო კომიტეტს დაუდგენია შეიძინოს 3,500 მანეთის შაბიამანი, რომელიც გადაეცემა საერობო სამაზრო აგრანომთ ომში გაწვეულ ჯარის კაცთა ოჯახებისათვის უფასოდ დასარიგებლად.

— 27 მარტს დანიშნულია ქუთაისის საურთიერთო ნდობის საზოგადოების ბანკის წევრთა საზოგადო კრება, რომელზედაც განიხილავენ: ა) 1915 წ. ანგარიშებს ბ) 1916 წლ. ხარჯთაღრიცხვას. გ) საზოგადოების წესდების რამდენიმე მუხლის შეცვლას. დ) საპენსიო კასის მოსამსახურეთათვის დაარსების საკითხს ე) ამორჩევა გამგეობის თავმჯდომარისა და მორიგეობით გასულ საბჭოს ერთი წევრისა, სარევიზიო კომისიის სამი წევრისა და მათი კანდიტატებისა.

ერთი შედეგი

მიმდინარე ომმა ტეხნიკის მნიშვნელობა ყველას სისრულით დაანახვა. თუ დღემდე ბევრი ქვეყნის მოწინავე საზოგადოებას მხოლოდ თეორიაში წარმოუდგენია ტეხნიკის ღირებულება, დღეს მიყრუებულ სოფლის მკვიდრიც თავის თვალით ჰხედავს, თუ რა ფასი ჰქონია ტეხნიკას. ყველამ უწყის რომ გერმანეთის ბატონობა ბრძოლის ასპარეზებზე უმთავრესად მის ტეხნიკის უპირატესობაზედ არის დამოკიდებული. გერმანეთის უმწვერვალესად განვითარებული სამხედრო და სამრეწველო ტეხნიკის თანამშრომლობა ჰქმნის მის დაუნგრეველ სიმკვიდრეს. ლიეჟი, ანტვერპენი, ნამიური, მობეჟი, კოვნო და სხვა სიმაგრენი ორ-სამ დღეში რომ დაეცა,—ეს კრუპის ქარხნის საიდუმლოს ოინებია. მთელი ლონდონი, დღეს რომ სახურავ-ახდილი უმწეოდ დგას და შიშველი თავი ყუმბარების სეტყვისაგან ვერ დაუფარავს,—ესეც გრაფ ცეპელინის საჰაერო გემების მიუწდომელმა ინტრიგებმა იცის. გერმანელების მხრივ ასაფეთქებელი მასალების დაუზოგველი ხარჯვა,—გერმანელი პროფესორის ბრალია, რომელმაც მახე დაუგო დღემდის ჰაერში უსარგებლოდ გაბნეულ აზოტს და მით მწარე სიცილი დააყარა, ვინც ბლოკადის საშუალებით გერმანეთის დაბრკოლებას ლამობდა.

გერმანელი ჯარისკაცნი თვალის დახამხამებაზე ღრმა ორმოებში და სანგრებში რომ უვნებლად ჩასხდებიან, მაშინ როდესაც მათ მოპირდაპირეთ გაქვავებული მიწის ზედაპირიც ვერ აუჩეჩნიათ თავის დასაფარავად,—ესეც ელექტრონის მანქანების უპირატესობას უნდა მიეწეროს, ბლავე ნიჩებთან შედარებით...

დღეს ყველასათვის ცხადია რომ ომის მოგება შეუძლებელია, თუ სხვა პირობების თანაბრობასთან ერთად, აღარ არის მოპირდაპირეთა ტეხნიკური თანაბრობაც. ორი აზრის ჰქონა ამ საგანზე შეუძლებელი გახდა და ანტიგერმანული კოალიცია დიდი ხანია ძალას იკრეფს რომ ტეხნიკურ მოწყობილობის მხრივ თავის საშინელ მოპირდაპირეს გაუთანასწორდეს. ტეხნიკის მნიშვნელობის დაფასება და მიზან შეწონილი ლტოლვა განვითარებული ტეხნიკის შემოსაღებად ამ ომის გარდუვალ შედეგად დარჩება ხალხთა ცხოვრებაში. ტეხნიკაში ყველამ დაინახა ქონებრივი კეთილდღეობის და ფიზიკური ძლიერების საწინდარი.

ეჰვს გარეშეა რომ იგი საყოველთაო ყურადღებითა და პატივისცემით შეიმსება და სანუკარ განძად გამოცხადდება. ამ მხრივ მსოფლიო ომმა ფასდაუდებელი პროპაგანდა გაუწია ტეხნიკასა და ტეხნიკური ცოდნის მნიშვნელობას.

ომისაგან გავლებული ეს ახალი ღრმა კვალი წარუშლელი დარჩება და საზოგადოებრივ ძალასა და ენერგიას ამიერიდან მკაფიოდ გამოთქმული მიმართულება მიეცემა. დადგება ხანა ტეხნიკის გაღმერთებისა და მისთვის დაუცხრომელი ზრუნვისა.

ხ. კ.

„გერდო ზმანია“

მე ვარ კოსმოსი, მსოფლიო, არსი.

კოსმოსი ეს ჩემი „მე“-ა.

ძლიერი ვარ ვით ბუნება, ვინაიდან მე ვგრძნობ, რომ მინდა, მსურს.

გონება მიჭრის, სჩანს შემოქმედი ჭკუა ბატონობს, სული ჩემი ხატებას განიცდის, ცხადია ჩემში ძლიერია რელიგია, გრძნობათა ქენჯნა.

კანონი თვით მე ვარ.

მე მსურს მსოფლიო განვიცადო.

ვიგრძნო და დავსტკბე მთელი ჩემი არსით.

არ არსებობს შეფერხება, დაბრკოლება ჩემთვის.

უნდა მოხდეს ის, რასაც მოვითხოვ.

თავისუფალი ვარ, ვით ღმერთი, ვინაიდან ღვთაებობა მხოლოდ ჩემშია, ჩემს განცდაში.

მხოლოდ თვითონ ვქმნი მსოფლიოს, რახან მე მხოლოდ მას განვიცდი.

საშინელი ულმობელი მტერი ვარ მონობისა.

მძულს, მეზიზღება მორჩილება.

არ მესმის აუცილებლობა.

რას მიქვიან იგი, თუ კი მე არ მსურს.

მე ვარ შემომქმედი.

ვის ძალუძს შეაფერხოს ზეციურ მშვენიერებათა ტკბობა.

მშვენიერებას თვითონ გულში ვატარებ.

მშვენიერება—ეს თვითონ ჩემი არსია.

მინდა მის ბურუსში გავეხვიო, მას შევეხორცო.

ვინ არის, რომ ამას მიშლის, წინ მეღობება?

ვინა ჰბედავს ჩემს შებოჭვას, დამონავებას?

მე თავისუფალი ვარ, რადგან თვით ვარ კოსმოსის ძალა.

მიწის შვილი, თვით მიწის ბუნება ვარ.

არ არსებობს ჩემს „მე“-ს გარეშე არაფერი.

ვინ არის ის, რომ ჩემს დამორჩილებას ლამობს.

რას დამდევს თან, ან რას დამჩხავის.

მას სურს მის ფეხის კვალს ავყვე, ყმად გავუხდე, ჩემი „მე“ მოვკლა და მის დუდუკზედ ვითამაშო?

არასოდეს.

მე არარა არ გავხდები. მონობის უღელს არ დავიდგამ.

ვინც ჩემი წინააღმდეგია ის მტერია ჩემი, თავისუფლების.

მაშ გაუმარჯოს ბრძოლას.

ვნახოთ ვინ გაიმარჯვებს.

ბერდო ზმანიაც იბრძვის თავგანწირული მედგრად, შეუპოვრად.

ებრძვის აუცილებლობას, მსოფლიო კანონს.

მისი ბუნება, ეს აბსოლუტური თავისუფლება ზეციურ ზესთაფრენით რელიგიურ პიროვნებაში გადადის.

ბერდო ზმანიას ჰყავს თავისი მეგობრები, მომხრენი; ესენი თვით ადამიანის თვისებებია.

მისი მომხრენი ორ ბანაკად იყოფიან.

ზოგნი იბრძვიან ბერდოსთან, მას გულს უკეთებენ; ზოგნიც ჭგრძნობენ, იციან, რომ ბრძოლა მარცხით გათავდეს და ურჩევენ ბერდო ზმანიას ბედს დაჰმორჩილდეს, დანებდეს.

ბერდო ზმანია არ ცხრება იბრძვის და მარცხდება.

აუცილებლობა იმარჯვებს.

ასეთია სანდრო შანშიაშვილის ბერდო ზმანია.

თვით ტრაგედია ძლიერი სიმარტივით ერთ სულიერ კონფლიქტიდან მეორეზედ გადადის.

მშვენივრად აქვს დაცული, როგორც ფორმა ისევე ტრაგედიის ძალთა განაწილება.

სურათ-ხატება მოქმედებაში მთელია, გარკვეული, დიდებულ სიფაქიზით მოცული.

სცენიურის მხრით ტრაგედია მგრძნობიარე და ეფექტიურია.

ტრაგედია სანდრო შანშიაშვილის მიერ უკვე წაკითხულ იქმნა სხვა და სხვა წრეებში და დიდი შთაბეჭდილება მოახდინა.

ქართულ ლიტერატურას ერთი განძი კიდევ მოემატა.

ჯუანშერ.

გამომცემი ამხ. „საქართველო“

(წერილი ბაქოდან)

ახლად დაარსებულ გამომცემ ამხანაგობა „საქართველო“-ს ბაქოს ქართველობა დიდი ყურადღებით შეხვდა. როგორც ვიცით, ამ ამხანაგობის დამფუძნებელთა შორის მოჰყვნენ ისეთი პირები, როგორიც არიან ბბ. ი. დადიანი, ლ. ქ. მამულაიშვილი და ნ. ი. ჯაყელი. ყველა ესენი ბაქოელ ქართველებში დიდის პატივისცემითა და ნდობით სარგებლობენ. გამომცემ ამხანაგობა „საქართველო“-ს სათავეში ამ პირთა დგომა თავის თავად თავდებია, რომ ბაქოს ქართველობაში საქმე კარგად წავა და ფეხსაც მოიკიდებს, მაგრამ აქ იდეური მხარეც დიდს როლს თამაშობს, რადგანაც ცნობილია, რომ ამ ამხანაგობის შედგენის თაოსნობა ეკუთვნის გაზეთ „საქართველო“-ს რედაქციას და რომ თვით ამხანაგობის საგანია თავის საგამომცემლო პრაქტიკაში მთავარი ყურადღება ამ გაზეთის განმტკიცებას მიაქციოს. ყველა ეს გარემოება საკეთილოდ მოქმედობს ამ ამხანაგობის ბედზე ბაქოში, სადაც პაიებზე ხელის მოწერა ხალისით სწარმოებს. ეტყობა ამ იდეის თანამგრძნობნი სხვაგანაც კარგად მუშაობენ. ბაქოში დეპეშა მიიღეს, რომ გამომცემ ამხანაგობა „საქართველო“-ს მბურვალედ შეჭგებებიან თანამგრძნობნი ქუთაისის დიდძალი ინტელიგენცია და ვაჭარ-მრეწველნი. დეპეშიდან სჩანს აგრედვე, რომ ქუთაისში საგანგებო კომისია შემდგარა საქმის მოსაგვარებლად და პაიებზე ხელის მოწერაც დაწყებულა.

აქაური.

სახელმწიფო სათათბირო

22 მარტის სხდომა

სათათბირო ისმენს სავაჭრო მინისტრის მოხსენებას. თავმჯდომარეობს როდძიანკო, შემდეგ ვარუნ-სეკრეტი.

გონევი. მიუხედავათ იმისა, რომ ეს სამინისტრო ათი წელიწადი არსებობს, ვერ იქმნა ვერ მოეწყო და მნიშვნელოვანი ადგილი ვერ დაიკავა სახელმწიფო დაწესებულებათა შორის. დღესაც ეს სამინისტრო სავსებით დამოკიდებულია ფინანსთა სამინ'ტროსაგან.

ვაჭრობა - მრეწველობის მინისტრი **თავ. შახოვსკოი** ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ომის შემდეგ ამ სამინისტროს სამოქმედო ასპარეზი მეტად გაფართოვდა, რუსეთმა ყოველი ღონე უნდა იხმაროს, მრეწველობა მტკიცე ნიადაგზეც დააყენოს. მთავრობამ უნდა იზრუნოს ყოველნაირ კერძო წარმოების გასაფართოებლად. სამინისტრომ უკვე მიიღო ზომები საქციონერო წარმოების განსავითარებლად. გადავსინჯეთ მთელი კანონმდებლობა და საჭიროდ ვსცანით შემოვიღოთ განცხადებითი წესი. ამასთანავე ყოველი ზომები იქნება მიღებული კანცელარიებში გამეფებულ ფორმალისტობის წინააღმდეგ.

სამინისტრო მთავარ ყურადღებას აქცევს ახლა სამთამადნო მრეწველობას. ყოველ ზომებს ვხმარობთ, რომ შესაფერად მოვაწყოთ ქვა-ნახშირის წარმოება.

მუშათა საკითხის შესახებ, მინისტრმა განაცხადა: 80% საერთო რიცხვიდან უკვე გაუუმჯობესეს პირობები და მალე შეძლება გვექნება სახელმწიფო დაზღვევის ორგანიზაციასაც შეუდგეთ. სამინისტრო შესდგომია საერთო კოოპერატიულ კანონ-პროექტის დამუშავებას. საერთო სიძვირის შესახებ მინისტრი ამბობს: უკვე დაარსდა სხვა და სხვა დარგის კომიტეტები, რომელიც გადაჭრილ ფასებს დაადებს საქონელს.

ტიტოვი. უპირველესად საჭიროა გარკვეული სამოქმედო გეგმა ჰქონდეს სამინისტროს.

ტულიაკოვი. მუშათა საკითხს ძველებურად გულგრილად ეკცევიან და არავითარ ზომებს არ ღებულობენ მის გასაუმჯობესებლათ.



ვერდენის გაროშემო

(გაგრძელება. იხ. „საქ.“ № 67).

ჩვენ არ ვიცით, რა მიზნით ხელმძღვანელობდნენ გერმანელები, როდესაც ვერდენს მეორეხელ შეუტიეს 8 თებერვალს. მაგრამ რომ პირველ შეტევისთანვე დიდი მორალური ეფექტი მოახდინეს, ეს კი ეჰვს გარეშეა. დუომონის დაცემამ საფრანგეთში დიდი მღელვარება გამოიწვია. ამ მხრიდან გამოქცეულთა ტალღამ სულის სიმშვიდე დაუკარგა ფრანგ მცხოვრებელთ, რომელთაც მარცხიც და გამარჯვებაც უკიდურესად აძმარებს და აფრთოვანებს. საკმარისია თვალი გადაავლოთ ფრანგულ ჟურნალ-გაზეთებს და მიხვდებით, რომ გერმანელთ შორს მჭვრეტობის ციხე-ბურჯის მნიშვნელობის გაქარწყლების გარდა ეს სუსტი მხარე ფრანგთა ფსიხოლოგიისა კარგად ჰქონიათ შესწავლილი. როგორც ვიცით, კლემანსომ სენატში პირდაპირ მოითხოვა განმარტება, თუ რა ზომები გვქონდა მიღებული ციხის დასაცველად, ან რატომ მოგვიდა არასაპატიებელი შეცდომები მის დაცვაშიო. ადვილად გასაგებია კლემანსოს ასეთი ხმის ამაღლება. ეს პროტესტი თვით საფრანგეთის გულის თქმაა. თუ ეხლა, ამდენი ხნის მზადების შემდეგ ვერდენს განსაცდელი ელის, მაშინ როდისღა მოხდება ის სასწაული, რომ დავიბრუნოთ ჩრდილოეთი საფრანგეთი, ანუ ბელგეთი. აი, ამ გარემოებამ შეაცვლევინა, როგორც სჩანს, გენერალსიმუს ჟოფრს წინასწარი განზრახვა, რომ რეზერვებისთვის ხელი არ ეხლო. ვერდენის მეციხოვნე ჯარის გაძლიერებამ მორალურ ფაქტორის წყალობით მოხდა, ჩვენი კორესპონდენტის ამ ათიოდ დღის წინად ცნობა, რომ ფრანგებმა 27 დივიზია მიაშველეს ვერდენის ციხესაო, ნაგვიანევად დაადასტურა ოფიციალმა სააგენტომ, რომ შამპანში ფრანგი ჯარების ნაცვლად ინგლისელები ჩააყენესო.

როგორც ვიცით, პირველ შეტევის შედეგად, დაეცა დუომონის სიმაგრე. ამავე დროს ბრანდენბურგის რამდენიმე პოლკმა მოასწრო პუავრის ჩრდილო ფერდობებზე გამაგრება. აქედან ბრძოლის ხაზი იშლება თითქმის 40 ვერსზე. გერმანელები უტევენ ვევრშიც, აქაც რამდენიმე სტრატეგიულს ადგილს იღებენ, ხოლო ოპერაციების პირველი ხნის შემდეგ 21—24 თებ. სასტიკი იერიშები მოაქვთ ახლა დასავლეთით, მაასის მარცხენა ნაპირებზე და ფორჟს-კორბა-ბეტანკურის იპყრობენ.

რაკი გერმანელთა ოპერაციმ, ერითის დარტყმით ვერდენის ციხე ვერ დასცეს, სამხედრო მიმომხილველნი უკიდურეს წერტილზე შესდგნენ: გერმანელთ არავითარ წარმატებისთვის არ მიუღწევიათ, რაც აიღეს სტრატეგიული თვალსაზრისით სრულიად უმნიშვნელოაო. თავის დროზე რა პუნქტს რა მნიშვნელობა აქვს, ეს ვსთქვით. რომ არ ვსტყუვდებით შეფასებაში, ამას ადასტურებენ ფრანგული ჟურნალ-გაზეთებიც. სანიმუშოდ შეგვიძლიან მივუთითოთ პუავრის ფორტის პოზიციებზე, ანუ თვით დუომონვოზე, საიდანაც გერმანელთა შორს მსროლელ არტილერიას თავისუფლება ეძლევა ვერდენის ციხეს დაუშინოს.

ჩვენ მეტად შორსა ვართ გავიზიაროთ ზოგიერთა სამხედრო მიმომხილველის ოპტიმიზმი, ვითომც გერმანელთ საუკეთესო ძალები აქ შეელიოთ, მით უმეტეს შორსა ვართ იმ აზრს დავადგეთ, ვითომც გერმანელთ ყუმბარა შემოაკლდებათ და ოპერაციას ვერ გაგრძობენო. ასეთი სიბრძნე ბევრჯელ იწინასწარმეტყველეს მეწიკოვებმა ჯერ კიდერ სახელოვან გალიციის ოპერაციის დროს პერემიშლის დაცემისას, მაგრამ არ გამართლდა, მოვტყუვდით. მით უმეტეს ეს წარმოუდგენელია ეხლა, რადგან გვავიწყდება, რომ ვერდენის პირდაპირ სდგას მსოფლიოზე პირველი ბურჯი და პირველი არსენალი სახელოვან მეცი, გვავიწყდება ის გარემოება, რომ ვერდენის წინ მრისხანე მტერმა აუარებელი რკინის გზებით დაჰქსელა, რაიც ამ 17 თვის განმავლობაში, უნდა ვიგულისხმოთ, განსაცვიფრებელს სისრულემდე იქნება მიღწეული. არტილერიის მოზიდვა, სწრაფი შველა, ჯართა-გადაყვან-გადმოყვანა მიტომაც ასე სწრაფად და შეუსვენებლივ სწარმოებს, ამიტომვეა, რომ გერმანეთი თითქმის ნახევარ მსოფლიოს კოალიციის წინაშე არ იღუნება, ქედს არ იხრის, ამავე გარემოებას უნდა მიეწეროს, რომ მიუხედავად იმისა, რომ ვერდენმა საუკეთესო კორპუსებს მოუყარა თავი და სხვა ფრონტები შეაუსუსტებინა ცოცხალი ძალით, არც ერთ მხარეს, რუსეთით თუ იმავე დასავლეთით ჯერ ვერ გაუბედნიათ შეუტიონ, თვითვე მიიტანონ იერიში. მართალი გამოდგა მაიორი მორატი: მათ ზარბაზნების გადატანა ერთი ფრონტიდან მეორეზე არა სჭირდებათ, თუ რამე მზგავსი ხდება, ეს ისევ ცოცხალი ძალების მხრივ. სხვაფრივ მათი სამზადისი უნაკლულოა, ამას ჰხედავენ და ჰგრძნობენ კიდეც მოწინააღმდეგენი, რამაც ფრანგ სენატორს ემბერს წარმოათქმევინა ისტორიული სიტყვები: „... მათ ჯერ ვერ ვდრიკავთ! ვაშა ძლიერთ, ვაშა, ვისაც შეუძლიან სითამამე და მოქმედება!“

გერმანელები მოქმედებენ... ვერდენის ალყა უნდა ვიფიქროთ, სულმოკლე ხანში დასრულდება, მაგრამ ის ამბავი იმავე სენატორ ემბერის სიტყვით აღივვებს მოკავშირეთა შორის ახალს ენერგიას, ახალს ძალას, ახალს აფფრთოვანებას...

აი, ამ აღფრთოვანებით უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ ფრანგებმა გული არ გაიტეხეს და, როგორც დღეს ჩვენი კორესპონდენტის ცნობას წაიკითხავთ, გაზეთ „Gaulois“-ს სამხედრო მიმომხილველის სიტყვით, ფრანგ ჯარების აღფრთოვანებას იერი არ შეუცვლია, თუმცა გერმანელთ ამ ბოლო დროს ვერდენის ბურჯები გადაუხნავთ ათასი მძიმე ზარბაზნის ტყვიით, რომელთაგან თვითეული საათში 60 ყუმბარას ისროდაო.

კორესპონდენტს დეპეშაში არ გაუმარტნია, თუ რომელი ბურჯები აქვს „Gaulois“-ს მიმომხილველს მხედველობაში, დასავლეთისა თუ აღმოსავლეთის? მაგრამ ოფიციალ ყრუ ცნობებს თუ დავუკვირდებით, უნდა ვიგულისხმოთ, რომ ეს ბურჯები აღმოსავლეთის სარტყელი უნდა იყოს, პუავრის სიმაგრენი, სადაც გააფთრებული მოიწევენ გერმანელები. მთელი კვირეა გვესმის, რომ ამ სექტორში გაშმაგებული ბრძოლა სწარმოებს, გავიგეთ სოფელ ვოს აღება, გაშორება ამ პუნქტისა, ამავე სახელობის ტყის აღება თუ ვოს ტბის გაცლება. თვითონ ციხის შესახებ მხოლოდ კერძო დეპეშათა სააგენტომ გვაუწყა, რომ დაეცაო. რახანც ოფიციალი ბიულეტენები გადასცდნენ ამ პუნქტს და ახლა თვით ვერდენის სექტორის მიდამოებს ასახელებენ, სჩანს, ციხე მართლაც აღებულია, ანუ „გადახნული“, როგორც გვაუწყებს დღეს ჩვენი კორესპონდენტი „Gaulois“-ს ცნობას.

საკითხია, რატომ გერმანელები ჯერ ერთს მხარეს არ მორჩებიან და მეორეთი არ შეუტევენო. აქ უნდა შევუროგდეთ იმ აზრს, რომ გერმანელთ ეს უმაგალითო იერიშები სრულის მეცნიერულის მეთოდით მოაწყვეს. ფაქტების განხილვა დაგვარწმუნებს ამ მეთოდის გენიოსობაში. განვიხილოთ მოკლედ რა მოხდა ამ ორი კვირის განმავლობაში.

X.

(დასასრული იქნება)

ქალაქის სასაკლაო

საქალაქო სასაკლაოს წლიურ ანგარიშიდან ვტყობილობთ შემდეგს: 1915 წელში ტფილისის სასაკლაოზედ დაუკლავთ სულ 358,745 სული საქონელი ანუ 99,945 სულით მეტი ეიდრე 1914 წელს და 88,121 სულით მეტი ვიდრე 1913 წელშიო.

თუ შევადარებთ ერთმანეთს სხვა და სხვა გვარ საკლავ საქონლის რაოდენობას, დავინახავთ, რომ შედარებით წინა წელთან 1915 წელში ცხვარი დაკლულა 49,9% მეტი, კამეჩი—34,4%-ი“, მოზვერ-დეკეული—33,3%-ით, ძროხა-ხარი—8,1%-ით, ხოლო ხბოსა და ბატკანს დაუკლიათ კიდეც, ღორსაც მოუმატნია 2,8%-ით.

სასაკლაოს გამოუშვია ბაზარზედ საანგარიშო წელში სულ 1.074.374 ფუთი ხორცი. თუ თფილისის მცხოვრებთა რაოდენობას მივიღებთ 430.000 სულად თითო სულზედ მოვა წელიწადში 100 გირვანქა ხორციო. ანგარიშში მიღებული არაა ის ხორცი, რომელიც სოფლებიდან ჩამოდის, ისინჯება იარმუკის ცენტრალურ მიკროსკოპიულ სტანციაზედ და ისე გამოდის გასასყიდად ბაზარზედ- არაა აგრეთვე სახეში მიღებული მრავალი ღორი და შაშხი, რომელიც ისინჯება სოფლებიდან და რუსეთის ქალაქებიდან ჩამოტანილი საქალაქო ქიმიურ ლაბარატორიაშიო. არაა აგრეთვე ანგარიშში მიღებული ის მრავალი ტკლული ფრინველი,რომელიც სოფლებიდან გლეხებს ჩამოაქვთ კვირა უქმეებსა და დიდ დღესასწაულებში გასასყიდად.

ბეითლებს უცვნიათ უვარგისად საანგარიშო წლის განმავლობაში 5,286 ფუთი ხორცი და გაუგზავნიათ გადასამუშავებლად საუტილიზაციო ქარხანაში.

სასაკლაოს ჰქონია შემოსავალი დასაკლავ გარდასახადიდან 172,477 მ. 46 კ., ღორების გასასინჯ გარდასახადიდან-11.902 მ, ფრეიბანკიდან-2408 მან., საუტილიზაციო ქარხნის საიჯარო-4000 მ. ანუ სულ 190.787 მ. გარდა ამისა, სასაკლაოს ბაკიდან ექნებოდა შემოსავალი სულ ცოტა 70,000 მან., და საყინულედან 10.000 ასე რომ მთელი წლიური შემოსავალი სასაკლაოსი დაახლოვებით უდრის 270.000 მ.

ნიორაძის ლექცია ქუთაისში

შაბათს, 19 მარტს, ელექტრო-თეატრ „რადიუმში“ გ. ნიორაძემ წაიკითხა ფრიად საინტერესო ლექცია თანამედროვე ოსმალეთზე.

ლექცია შეიცავდა ორ განყოფილებას. ლექტორმა უამბო მსმენელთ კონსტიტუციის შემოღება ოსმალეთში. აღნიშნა 1876 წ. მომხდარი დიდი დემონსტრაციები სატახტო ქალაქის ქუჩებზე. სულთან აზიზის დაპატიმრება და მისი სიკვდილი. შეეხო სულთან მურადის სულიერ მდგომარეობას და ტახტიდან გადაყენებას. დაწვრილებით გადმოგვცა აგრედვე ისტორია სულთან აბდულ ჰამიდის გამეფებისა და ოსმალეთის პირველი პარლამენტის გახსნისა 1877 წ. საინტერესო იყო მოსმენა, თუ როგორ მოხდა ამ პირველი პარლამენტის მოსპობა, რეაქციის გამარჯვება და ხელმეორედ ბრძოლა კონსტიტუციის შემოღებისათვის. ლექციის მეორე ნაწილში ლექტორმა განიხილა ოსმალეთის ადგილ მდებარეობა, მისი მიწა-წყლები, ხალხის ზნე-ჩვეულება, დღესასწაულები, ისლამი, ჰარამხანა, შინაური მართვა-გამგეობა და სხვა.

უნდა აღვნიშნოთ, რომ ამასთანა ლექციები მეტად სასარგებლო არის ხალხისთვის, რადგანაც იგი ეცნობა თავის მეზობლების ზნე-ჩვეულებას, მიწა-წყალს და სხვას.

სასურველია ხშირად იმართებოდეს ასეთი ლექციები და ხალხი ეცნობოდეს ჩვენს მეზობლებს, განსაკუთრებით სპარსელებს და იქ მყოფ 42,000 სულზე მეტ მცხოვრებს გამაჰმადიანებულ ჩვენს ძმებს ფერეიდანელ ქართველებს. თუმცა ამ საღამოს თეატრშიაც გაიმართა კატო მიქელაძის ლექცია ქალთა უფლებაზე, მაინც ბ-ნ გ. ნიორაძის ლექციას დიდძალი საზოგადოება დაესწრო.

ა. ნ—ძე.

ეკონომიური ცხოვრება

შაბიაბანი.

დიდ გაჭირვებაშია ჩავარდნილი მთელი საქართველო. მსოფლიო ომმა ყველაფერი გააძვირა ბუნებრივათ და ხელოვნურად, ყველაზე მეტათ კი ასწია შაბიაბნის ფასი. ეს ლურჯი მარილი წინათ იყიდებოდა ფუთი 3 მ. 50 კაპეიკათ, შარშან კი ჩარჩებმა მისი ფასი 40 მანეთამდე ასწიეს. მთელს საქართველოში არის დაახლოვებით ასი ათასი ქცევა ვენახი, რასაც ეჭვრება წლიურათ საწამლოთ არა ნაკლებ 70.000 ფუთი შაბიამანი.

შარშან დასავლეთ საქართველოში შაბიაბნის უსაზღვრო სიძვირემ და უშოვნელობამ აიძულა მემამულეთა უმეტესი ნაწილი შეუწამვლავად დაეტოვებინათ ვენახები, ან ეწამლათ მხოლოდ ერთჯერ. ამას დაერთო ფრიად ნესტიანი ზაფხული და იმერეთის ძვირფასი ვენახები განადგურდა, ყურძნის მოსავალი საოცრათ შემცირდა და მეტათ დაზიანდა ვაზებიც. ამ გარემოებამ კი ძაძებით შემოსა ხალხი, დასეტყვა მისი ნივთიერი კეთილდღეობა, ვინაიდან ზემო იმერლისთვის ვაზი ყველაფერია: იგია მისი მარჩენალი და სულის ჩამდგმელი.

გვეგონა, წელს მაინც აღარ განმეორდებოდა შარშანდელი ამბები და როგორც მთავრობის დაწესებულებანი, ისე საზოგადო ორგანიზაციები დროით შეეცდებოდენ შაბიაბნის მოტანას ინგლისიდან და გადაარჩენდენ მით ხალხს ჩარჩების ბრჭყალებიდან, ვენახებს კი მოსპობისაგან. სავალალოთ, არ გამართლდა ჩვენი მოლოდინი, თუმც მთავრობამ, ანუ უკეთ მიწათ მოქმედების დეპარტამენტმა დიდი მონაწილეობა მიიღო შაბიაბნის დაკვეთასა და მიღებაში. ამის ოპერაციები-კი მინდობილი ჰქონდა მოსკოვის სახალხო ბანკს. აგრეთვე დეპარტამენტის დახმარებით მოქმედობდა, ეჭვი არაა თავის სასარგებლოთ, ფრიდონოვის ცნობილი ფირმა, რომელიც დიდი ხანია აწარმოებს შაბიაბნის საქმეს და დახელოვნებულია ყველაფერში. ფრიდონოვი ჰპირდებოდა დეპარტამენტს, შაბიაბნის დიდ ნაწილს დაეუთმობ მაზანდის ფასებში, ე. ი. იმ ფასათ როგორც დამიჯდებაო, მევენახობა-მეღვინეობის კომიტეტებსაო. დეპარტამენტმა თავის მხრით დაარწმუნა კომიტეტები, ამათ კი დაამშვიდეს და დააიმედეს აშფოთებული ხალხი და საკრედიტო ორგანიზაციები.—მაგრამ აჰა, დადგა გაზაფხული! მარტის მზემ მეტათ გაათბო ლამაზი კოლხიდა და აამწვანა იგი. აბიბინდა მოლი, აყვავდა ველი, გაიფურჩქნა ხეები და აკოკორდა ვაზიც. იმერელს ელდა ეცა; 2—3 კვირა კიდევ და ვაზს წამლობა დასჭირდება. აღთქმული შაბიაბანი კი არსად სჩანს. შეიქნა ფაცი-ფუცი, კრებები, ორონტრიალი... რა აღმოჩნდა! სახალხო ბანკს და ღამბაშიძის ფირმას გაყინვიათ თურმე გემები ჩრდილო ოკეანეში და როდის დაიძვრიან ისინი, ღმერთმა უწყის. მაგრამ შაბიაბანი მოსულა შარშანვე ინგლისიდან არხანგელსკში, მოსულა დიდი პარტია, დაახლოებით 110.000 ფუთი. და ეს შაბიაბანი მიუღია ბ-ნ ფრიდონოვს.

ამოდენა შაბიაბნიდან ბ. ფრიდონოვი დაჰპირებია თბილისის კომიტეტს ვგონებ 10.000 ფუთს, ქუთაისის კომიტეტს—10.000 ფუთს და ქუთ. წვრილი კრედიტის ამხანაგობათა ბიუროს—5.000 ფუთს. ხოლო ეს მცირე დაპირებაც კი დღემე რჩება მარტო ცარიელ დაპირებად. დანარჩენი შაბიაბანი გამოცდილ ფრიდონოვს, როგორც ხმა დადის, უკვე დაუბინავებია სხვა და სხვა საიმედო ალაგას, თუმც თვითონ ბძანებს, შაბიაბანი არა მაქვსო.

თავის დაპირებაც რომ შეასრულოს ბ. ფრიდონოვმა და გამოგზავნოს ქუთაისში 10—15.000 ფუთი, მაინც ეს მასალა სრულებით არ კმარა. დასავლეთ საქართველოს ვენახებს ეჭვრება წლიურად არა ნაკლებ 40.000 ფუთისა. ვის გაწვდება 10—15 ათასი ფუთი, რომელიც მასთან არსად სჩანს? სად იშოვოს ხალხმა დანარჩენი შაბიაბანი? შაბიაბანი კი ჩუმად იშოვება, თურმე, ქუთაისში, ზესტაფონში, ფოთში, სამტრედიაში, ერთი სიტყვით სადაც გნებავთ და რამდენიც გნებავთ. ხოლო თითოულ ფუთში უნდა გადიხადოთ... 50 მანეთი.

ნეტა ვისი უნდა იყოს ეს შაბიაბანი? იგი არ არის არც სამეურნეო დეპარტამენტის, არც სახალხო ბანკის, არც ღამბაშიძის, არც მევენახეობა-მეღვინეობის კომიტეტის და არც წვრილი კრედიტის საზოგადოების. დანამდვილებით ვიცით, რომ არც ერთ ზემო აღნიშნულ დაწესებულებებს არ მიუღიათ ჯერ ინგლისიდან დაკვეთილი შაბიაბანი. როგორც ვიცით, ლონდონში მყოფ დ. ღამბაშიძის სავაჭრო კანტორის საშუალებით დაიკვეთეს საკმაო შაბიაბანი თელავის საკრედიტო ამხანაგობამ, აგრეთვე სხვებმაც ერთ თუმნად ფუთი თბილისში ჩაბარებით. მაგრამ, როგორც ვთქვით, შაბიაბნით დატვირთული გემი გაიყინა ჩრდილო ოკეანეში. ასევე დაემართა სახალხო ბანკის გემსაც. ამათი გემები რაღაც მანქანებით დაგვიანდა გზაში. ამრიგად შაბიაბანი მიიღო მარტო ბ. ფრიდონოვმა, რომლის გემი დროზე მოვიდა არხანგელსკში. უნებლიედ იბადება კითხვა: მაშ ვისი უნდა იყოს ეს შაბიაბანი, ჩუმად რომ ჰყიდიან, თუ არა ბ. ფრიდონოვის? ვიღაც აგენტები, სომხები და ებრაელები, დაძრწიან, თურმე, მთელ საქართველოში და აწვდიან ვაჭრებს შაბიაბანს 40-სა და 45 მანეთად ფუთს (ადრე თურმე უფრო იაფად ყიდდენ), თანაც აგონებენ: ეცადეთ, იყიდოთ რაც შეიძლება მეტი, თორემ მალე უფრო ბევრად გაძვირდება და ინანებთო, ეხლა ნაყიდში კი დიდ ხეირს ნახავთო.

აქედან ნათლად სჩანს, რომ საქმე გვაქვს დიდ სპეკულიატორთან. მას უზის ფუთი შაბიაბანი არა უმეტეს 8—9 მანეთისა; ჰყიდის-კი კომიტეტზე 15—16 მანეთად და მეტათაც. მაგრამ მადა აღძრული სოვდაგარი არ დაკმაყოფილდა ფუთზე 7—8 მანეთის მოგებით. მან მოიწადინა ფუთ შაბიაბანზე რამდენიმე თუმნის მოგება, რაც 100,000 ფუთზე იზამს 2—3 მილიონ მანეთის მოგებას და აი, მთავარი მიზეზი შაბიაბნის გადამალვისა და აგენტების მოძრაობისა! ასეთია საერთო აზრი. გაზაფხული დადგა, ვაზი გამოდის, ხალხს ეჭირვება შაბიაბანი, როგორც მშიერს საზრდო, უმისოთ ზვრები და ვენახები ეღუპება. შაბიაბანი-კი არის, აქვს ჩუმათ წვრილ ვაჭრებს და ჩარჩებს, ხოლო ცოტა დიდი ფასი აქვს; ღირს ხუთი თუმანი (რადგან ჩარჩმა ხომ უნდა მოიგოს ფუთზე 5—6 მანეთი!) მემამულე სწუხს, კოკმობს, ცხარობს, მაგრამ რას იზამს! უნდა იყიდოს ერთი ფუთი მაინც, რომ არ დაეღუპოს თავისი მარჩენალი ვენახი. თუ ფული არა აქვს, უნდა ივალოს, ისესხოს და ისე მისცეს; იმედობს, რომ ამით გადაირჩენს ვენახს წახდენისაგან და მოსავალსაც მიიღებს; იმედობს, რომ ღვინოს კარგ ფასებში გაყიდის და მით ცოტათი მაინც აინაზღაურებს ლურჯი მარილის საოცარ სიძვირეს. ასეთია მემამულის სულის კვეთა და ხალხის ასეთი ფსიხოლოგია კარგათ აქვს შესწავლილი ბ. ფრიდონოვს. ასეთი ფრიდონოვები, სავალალოთ, მეტათ ბევრია დღეს რუსეთის იმპერიაში, რომლებიც სხვა და სხვა დარგებში სარგებლობენ ხალხის უმწეობით, საჭიროებით და იგებენ მილიონებს...

ასეთმა უნუგეშო მდგომარეობამ დიდ საგონებელში ჩააგდო მთელი დასავლეთი საქართველო. ამ დღეებში მოხდა დიდი კრება ზესტაფონში შაბიაბნის შესახებ და აარჩიეს დეპუტაცია მის უმაღლესობის დიდი მთავრის წინაშე წარსადგომათ. ასეთივე დიდი კრება მოხდა 15 მარტს საღამოს ქუთაისში, სადაც მონაწილეობას იღებდენ 50 კაცამდე სხვა და სხვა უწყებათა წარმომადგენელნი. ამ კრებამაც ერთხმათ აარჩია დეპუტაცია ოთხი კაცისაგან, რომლებიც უნდა შეუერთდენ ზემო იმერეთის დეპუტაციას, ერთათ წარუდგენ მის უმაღლესობას მეფის ნაცვალს და გააცნონ იმერეთის მევენახეთა უზომო გაჭირვება შაბიაბნის უქონლობის გამო. ამავე დეპუტაციას დაევალა, რომ სომნიდის გადმოზიდვა ჩრდილო-კავკასიიდან ხდებოდეს წინანდულათ რკინის გზით, ვინაიდან ზღვით გადმოზიდვა დიდათ ართულებს და აგვიანებს საქმეს, თანაც იწვევს საგრძნობ ზედმეტ ხარჯებს, რაც აუტანელ ტვირთათ აწვება ღარიბ ხალხს. —სრული იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ მათი უმაღლესობა დიდი მთავარი მოახდენს შესაფერ განკარგულებას, რათა დასავლეთ საქართველოს მევენახეებს მიეცეს ფრიდონოვის საწყობიდან შეღავათიან ფასებში საჭირო შაბიაბანი, ურომლისოთ იმერეთის ვენახებს მოელის განადგურება, ხალხს-კი სრული დაღუპვა.

უნდა გავუწიოთ ანგარიში იმ საგულისხმო ფაქტს, რომ თითქმის ნახევარი მილიონი იმერეთის ხალხისა ცხოვრობს უმთავრესად მევენახეობა-მეღვინეობით. ეს დარგია მათი არსებობის მთავარი ძარღვი. და ეს მეურნეობის უმთავრესი დარგი დღეს განიცდის უდიდეს კრიზისს, დიდ განსაცდელს. ეს დარგი ფრიად დაავადდა შარშან; დღეს ეჭირვება მას წამალი, 40,000 ფუთი შაბიაბანი. ეს წამალი კი აქვთ მხოლოდ ბ. ფრიდონოვს და მის აგენტებს, რომელთაც ხელში უკავიათ იმერეთის ხალხის სული. მათ კარგათ იციან, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ამ ლურჯ მარილს, ამიტომ მალვენ და ხელოვნებით სწვევენ მის ფასებს, რათა რაც შეიძლება მეტი გამოსწოვონ ხალხს... დროა ასეთ უსაზღვრო ხალხის ყვლეფას მოეღოს ბოლო! დროა შეჩერდეს სოვდაგრების უძღომი მადა! ჩვენ გვწამს რომ კავკასიის მკვიდრთა უმაღლესი მართველი მიაქცევს შესაფერ ყურადღებას, ასეთ დუხჭირ მოვლენას ასეთ საარაკო ექსპლოატაციას, რასაც უუდიდესი ზიანი მოაქვს მთელს იმპერიისთვის და მიიღებს სასტიკ ზომებს, რომ სამუდამოდ ალაგმოს ასეთი თავხედი და ულმობელი სპეკულიაცია.

იმერეთის ხალხი გმინავს და კვნესის; ხალხის გაჭირვება აუწერელია... იგი თხოულობს მფარველობას და სამართლიანობას მათი უმაღლესობის დიდი მთავრის წინაშე... იმერეთის ხალხს ღრმად სწამს, რომ კავკასიის უზენაესი მთავრობა მიანიჭებს მას სანატრელ მფარველობას და სამართლიანობას, იხსნის მას განადგურებისაგან და დაღუპვისაგან.

სიმონ ქვარიანი.

წერილი აჭარიდან

(მაჭახლის ხეობა)

„და შვილებსაც კი ხშირად
გაზით შავი ბეჭედი,
არ დაიდუმებს ისტორია, ნუ
გაქვთ იმედი“.

ვახ. ორბელიანი.

ჩემს საყვარელ აჭარას, საცა შვიდი თვე სიამტკბილობაში გავატარე, მოვშორდი 1914 წელს შემოდგომაზე. იმ დღეებში იქ მოცდა ჩემთვის, როგორც არა მხედრისათვის შეუძლებელი იყო. ჩემს თვალწინ დაიცალა მურღული (ძანსულის სპილენძის სამრეწველო ადგილი) და ქალ. ართვინი. იქ, საცა აჭარა იწყება გზა ბოძალზე, სახელდობრ აჭარის წყალთან ჩემს თვალწინ ემზადებოდა ჩვენი მხედრობა მაგრად გამაგრებულიყო და ამას იქით (ბათომამდე 16 ვერსია) მაინც აღარ შეეშვა მტერი. ჩემს თვალწინ დაიცალა აჭარის წყლის მახლობელი სოფლები: ერგე, ჯოჭო, მახო, კიბე, კაპნის თავი და სხვა. ამ სოფლის მცხოვრებნი ფაცა-ფუცით აიბარგნენ და შეეხიზნენ ზოგი მაჭახლის ხეობის მცხოვრებთ, ზოგი აჭარის წყლის. ვხედავდი, თუ როგორ ეთხოვებოდნენ კარმიდამოს, ოფლით მორწყულ ყანა-ბაღჩას. ბევრმა ვერც კი მოასწრო სიმინდის წაღებაც კი, ბევრმა ოჯახის მთელი ალაფი ხელუხლებლად დასტოვა. ბევრმა სპილენძეულობა ეზოშივე ჩაფლა, ვითომც დამალა (მაგრამ მაინც ნახეს). ბევრის შინაური საქონელი დარჩა უპატრონოდ. ადვილი არ არის სასწრაფოდ აყრა და თან ოჯახის ყოველივე სიმდიდრის თან წაღება, მეტადრე აქ, რადგან ხარ-ურემი ბევრს არ ჰყავს და თუნდაც ყავდეს მთის სოფლებში, კაპანში, საურმე გზა არ უდგება, გოდრებითა და ფალნიანი ცხენით აბა რა უნდა წაეღოთ.

ჩემის თვალით მინახავს 1905 წელს გურიაში „ნასაკირალის“ ამბების მიერ გამოწვეული დრამა, მინახავს, თუ როგორ აიყარა სოფლელები და მცირე ბარგი-ბარხანით, როგორ მიაშურეს მთას შესახიზნად. დიახ მახსოვს, თუ როგორ ეთხოვებოდნენ ოზურგეთის არე-მარის მცხოვრებნი თავიანთ სახლკარს დასაბუგათ გამომეტებულს. ახლაც თვალ-წინ მიდგას მაშინდელი საშინელი ჯოჯოხეთური სურათი: ურემი ურემს მისდევს, შემოდგომის წვიმა და ქარია, ბავშვების ტირილი, ძაღლების ყეფა, ქათმების კრიახი, კატების კნავილი, საქონლის ბღავილი, მცხოვრებთა წუწუნი, გაჩენის დღის წყევლა-კრულვა, შიში და ძრწოლა, შიშის გამო უდროოდ მშობიარობა გზაშივე...

დიახ, საშინელება რამ მახსოვს და როცა ქვედა აჭარის სოფლების დაცლას ვაკვირდებოდი თვალ-წინ განვლილი სურათი გადამეშალა. მაშინაც და ახლაც შემოდგომა იყო. იგივე სურათი, იგივე ჯოჯოხეთი, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ გურულების უმეტესობამ იცოდა, მაინც, თუ რისთვის ისჯებოდა, იცოდა რომ მათი ტანჯვა მათ შვილებს მაინც შეუმსუბუქებდა დუხჭირ ცხოვრებას. გურულ ქალი თუ კაცი გაგაჩერებდა და გკითხავდა მაინც, რა მოელის და რითი, და როდის გათავდება ეს წამებული ცხოვრება. აქ (აჭარაში) კი ამ ნუგეშსაც მოკლებულნი იყვნენ. მეტადრე ქალები, მათ ხომ არ შეუძლიანთ გაჩერონ უცხო ვინმე, ჰკითხონ რამე, არც შენ შეგიძლიან მიხვიდე, ანუგეშო, და თუ რაიმე უჭირს დაეხმარო. აყრა, ბინის მიტოვება ყველასთვის საშინელებაა, მაგრამ ყველაზე მეტად აჭარელი ქალისთვის, მეტადრე, თუ არ ახლავს მახლობელი მამაკაცი, მაშინ რა უნდა ქნას მან უცხოთა შორის, ვის შესჩივლოს თავისი გასაჭირი, ვის სთხოვოს დახმარება. არავის. შიმშილით და ავადმყოფობით მოკვდება და უცხოს ვერას შესჩივლებს.

ვუცქეროდი ამ გულის შემზარავ სურათს, ინსტიქტურათ ვგრძნობდი, რომ ბევრს ჩემს ნაცნობს, ბევრს ჩემს კეთილ მასპინძელს ველარ ვნახავდი, გული მიკვდებოდა, ცრემლი მაწვებოდა, მაგრამ რა მექნა. ბევრს ვურჩიე არ დარჩენილიყვნენ აჭარაში, არამედ გადასულიყვნენ ქობულეთში და თუ ქობულეთიც ბრძოლის ველად გადაიქცეოდა, მაშინ ამოსულიყვნენ გურიაში. ვპირდებოდი სტუმართ მოყვარეობას. რამოდენიმე კიდეც დავითანხმე, მაგრამ უმეტესობამ ამჯობინა აქვე თავის სოფლის მახლობლად შეეხიზნა ცოლ-შვილი. მეც ვანუგეშე, მოუყევი ომის საერთო კანონი, უთხარი რომ სახელმწიფოთა ურთიერთშორის დადებილ პირობის ძალით მშვიდობიან მცხოვრებს არავინ ხელს არ ახლებდა, არც მათ ქონებას მოელოდა რაიმე საფრთხე. მაგრამ ამასთან ვამხილე, რომ ფრთხილად ყოფილიყვნენ. მორიდებოდნენ პროვოკატორებს და არც ერთი მხრისთვის რაიმე საბაბი არ მიეცათ. კანონიერება და ომი, კაცთა ჟლეტა და შებრალება!! არც მე მჯეროდა, მაგრამ თავსაც ვიტყუებდი და ჩემს მეგობრებ—„ხისიმებსაც“.

უკანასკნელი ღამე აჭარის წყალზე 24 აჭარელთან ერთად გავათენეთ, შუალამის სამ საათამდე არ დაგვიძინია. დილით გულაჩვილებული და თვალ-ცრემლიანი გამოვეთხოვე ყველას... რა ვიცოდი თუ ბევრს მათგანს ველარ ვნახავდი. რას წარმოვიდგენდი თუ მათი სახლკარი განადგურდებოდა. ეი ვახ! რამდენიმე დღე ბათომში დავრჩი, მესმოდა ჭორობის პირათ თოფების კვახა-კუხი და ზარბაზნების გრიალი. ვიცოდი რომ ბრძოლა ჩემს ნაცნობ სოფელში იყო. მინდოდა გამეგო, რა ხდებოდა, მაგრამ ნამდვილ ამბავს ვერ ვგებულობდი. ბევრჯელ მოვინდომე დამეძლია შიში და თვით წავსულიყავი და ჩემის თვალით მენახა ყოველივე, მაგრამ ამას წინ ჩემს ფრთხალობას გარდასხვა დაბრკოლებაც გადაეღობა...

ომის საშინელება მიწყნარდა, აჭარაში გზა გაიხსნა. აჭარის ამბები გაზეთებში დაიწერა, მაგრამ მე ვერ მაკმაყოფილებდა სხვის მიერ ნახულ-გადმოცემული. მე მინდოდა თვითონ მენახა აჭარა და ძველი სურათი ახლანდელისთვის შემედარებინა. ეს სურვილიც ამისრულდა.

ა3. წ—ძე.

(შემდეგი იქნება)

წერილი რედ. მიმართ

თბილისის სასულიერო სემინარიის მოწაფენი უღრმეს მადლობას უძღვნიან მაღალ ყოვლად უსამღვდელოესს საქართველოს ექსარხოსს პლატონს, გულუხვი შემოწირულებისათვის სემინარიის ღარიბ მოწაფეთა სასარგებლოდ. „ახალ კლუბის“ მამასახლისთა საბჭოს, რომელმაც ინება კლუბის საკონცერტო დარბაზის უსასყიდლოდ დათმობა სასულიერო კონცერტისათვის; „საქართველოს“, „სახალხო ფურცელს“ და „თანამედროვე აზრის“ რედაქციებს, რომელთაც განცხადებანი უფასოდ დაგვიბეჭდეს.

დასასრულ გულწრფელ მადლობას უძღვნიან საზოგადოებას, რომელმაც კეთილ ინება დასწრებოდა კონცერტს და ეკრავრა წინ-ალი ხელი აუპყრო მოწაფეს ოსმალეთ-ბერძენ-ომზედ-ბოლო-ომ-ბერძენ-ომ-ბერძენ-ომ-ბერძენ